ნიაზ ბოლქვაძე

აზროვნების ეკოლოგია

კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება

თბილისი
2017

ნიაზ ბოლქვაძე

აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება

თბილისი
2017

ნიაზ ბოლქვაძე:
აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2017. გვ. 96.

რედაქტორი:

ნუგზარ ჩხაიძე – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციოლოგი

რეცენზენტები:

რევაზ ბალანჩივაძე – პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის, განათლების, პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივი აკადემიების აკადემიკოსი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი

ფანილ ფაიზულინი – პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ბაშკირეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ნიაზ მაჟიტოვი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბაშკირეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გულბაათ რცხილაძე – პოლიტოლოგიის დოქტორი

წიგნი გამოდის მამულიშვილთა
კავშირის წევრთა თანადგომით

ISBN 978-9941-27-151-9
© ნიაზ ბოლქვაძე

რედაქტორისგან

ნიაზ ბოლქვაძის ნაშრომი **„აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“** – სამყაროში ზნეობრივად მაღალგანვითარებული ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებას ეძღვნება. იგი ძირითადად რელიგიურ დაპირისპირებებს, მის საფუძველზე თანმხლებ ათასგვარ საფრთხეს და მისი თავიდან აცილების გზების ძიებას ემსახურება, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე საღად მოაზროვნე საზოგადოების დიდ საფიქრალს წარმოადგენს.

ავტორი მოკლედ, ფილოსოფიური სიღრმისეული ანალიზით აღწერს სხვადასხვა ერის წარმოშობასთან ერთად ტრადიციულ რელიგიებად დაყოფის ერთ საერთო პრინციპს (საფუძველს), რაც დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა. მან შეძლო საუკუნეების ლაბირინთებიდან დღის სინათლეზე გამოეტანა მთავარი საიდუმლო, რომლითაც თეორიულად წერტილი დაესვა ტრადიციულ რელიგიათა შორის ერთის მიერ მეორის არაღი-

არებას, რაც დაპირისპირების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

რატომ? – თანამედროვე კაცობრიობის ეკოლოგიური პრობლემები;

რატომ? – ტერორისტული საშიშროებანი;

რატომ? – შიმშილი, რატომ? – ნარკომაფია, რატომ? – ნგრევები;

რატომ?.. რატომ?.. რატომ?..

როგორც ნაშრომის ავტორი ამტკიცებს, ეს კითხვები აწუხებს დღევანდელ საერთაშორისო საზოგადოებას.

ადამიანის აზროვნება ასე შერყვნილი და შებილწული არასოდეს ყოფილა, – ამტკიცებს ბატონი **ნიაზ ბოლქვაძე**. იგი ორიგინალურად აანალიზებს და გადმოგვცემს მთელ რიგ საკითხებს. **ნიაზ ბოლქვაძე „აზროვნების ეკოლოგიის“** ახალი მცნების გამოყენებით ცდილობს კაცობრიობა შავბნელი, ბოროტი აზრებისაგან იხსნას. ავტორი ცხოვრებისეული, საინტერესო მაგალითების მოშველიებით მკითხველს ამის რეალურ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

რეცენზენტთა შეფასებით, **ნიაზ ბოლქვაძის** ნაშრომი **„აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“** უთუოდ დიდ მისიას შეასრულებს სხვადასხვა ერებსა და რელიგიებს შორის მშვიდობიანი, კეთილმეგობ-

რული ურთიერთობების განვითარებაში. ხელს შეუწყობს ტოლერანტობის საზღვრების მაქსიმალურად გაფართოებას და რელიგიური კომფლიქტების გამომწვევი მიზეზების მინიმუმამდე დაყვანას.

წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესო იქნება როგორც ლექტორ-მასწავლებელთა, ფილოსოფიისა და ისტორიის მეცნიერ-მკვლევართა, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

ნუგზარ ჩხაიძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, სოციოლოგი

აზროვნების ეკოლოგია - კაცობრიობის სნნის მთავარი საშუალება

რელიგიის თემა – რწმენა ღმერთისადმი, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია, რომელზეც დამოკიდებულია სულიერად მდიდარი, ზნეობრივად მტკიცე ადამიანის აღზრდა და ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით XVIII საუკუნის დიდი განმანათლებელი, ფრანგი ფილოსოფოსი **ვოლტერი** ამბობდა: **„ღმერთი რომ არ ყოფილიყო, მაშინ, ადამიანებს უნდა გამოგვეგონებინაო“.**

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველგვარი სიბრძნისა და სიკეთის საფუძველი ტრადიციული აღმსარებლობებია, რომლებიც საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ერებში უდიდეს კულტურასა და სიბრძნის ამოუწურავ მარაგს ქმნიან. თუმცა ხშირად, სწორედ რელიგიათა შორის დაპირისპირება ხდება უდიდეს ბოროტებათა და მანკიერებათა საფუძველი.

საკითხის კარგად გაანალიზებისას ვხე-

დავთ, რომ რელიგიებს შორის დაპირისპირების არავითარი საფუძველი არ არსებობს და ნებისმიერი რელიგია, თავისი არსით, მხოლოდ სიბრძნესა და სიკეთეს ემსახურება!

ისტორიაში ცნობილი და დღემდე არსებული რელიგიათაშორისი დაპირისპირებები, ხშირად, პოლიტიკოსთა მიერ საკუთარი ძალაუფლების გავრცელებისა და განმტკიცებისთვის იყო პროვოცირებული და გამოყენებული.

ყოველ ტრადიციულ რელიგიას თავისი სწავლულები და თეოლოგები ჰყავს. ბუნებრივია, ყოველი აღმსარებლობის მიმდევარი თავისი რელიგიის ჭეშმარიტებას ამტკიცებს. ასეთი მიდგომა დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სამართლიანია საკუთარი აღმსარებლობის წინაშე, მაგრამ იგი სხვათა მიმართ ობიექტური ვერ იქნება. საერთო ინტერესების მქონე ჭეშმარიტი მკვლევარი და ფილოსოფოსი, დამოუკიდებლად, შორიდან უნდა სწავლობდეს და აკვირდებოდეს მოვლენებს, რათა საბოლოოდ ობიექტური დასკვნების გაკეთება შეძლოს.

მეცნიერ-მკვლევართა გამოცდილებით, ნამდვილი ფილოსოფიური კვლევა, ჭეშმარიტების ძიების პროცესი, მშვენიერ ქალს ჰგავს – რაც უფრო თავს გარიდებს და გშორდება, მით უფრო საინტერესო ხდება!

ამ კვლევა-ძიების პროცესში, უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოს ბრძენთა ცხოვრებისა და საღვთო წერილების გაცნობისას, დამებადა კითხვები სხვადასხვა რელიგიების მიმართ. ამასთან დაკავშირებული შეხვედრები მქონდა სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან, მათ შორის, მსოფლიოს ტრადიციული რელიგიების თვალსაჩინო ლიდერებთან, როგორებიცაა: **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რუსეთის მუსლიმანთა საზოგადოების თავმჯდომარე, მთავარი მუფთი ტალგატ ტაჯუდინი, ბუდიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი, ტიბეტელი ბერი ფილოსოფოსი გეშე ლამა ჯამპა ტინლეი, ამიერკავკასიის ლათინურ კათოლიკეთა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და სხვები**[1]. მათთან ურთიერთობები როგორც მკვლევარს, სერიოზულ ღვთიურ ძალასა და გამოცდილებას მმატებდა.

მრავალწლიანი კვლევა-ძიების შემდეგ, როცა მეგონა ჩიხში ვიყავი, მოულოდნელად მივიღე პასუხი კითხვაზე, რაც დღემდე არათუ მხოლოდ საიდუმლოდ, არამედ შეუმჩნეველი რჩებოდა და რელიგიათა შორის დაპირისპი-

1 2007 წლის შემდეგ, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ჩემთვის შეუძლებელი გახდა რუსეთის პატრიარქ კირილთან და რომის პაპ ფრანცისკესთან დაგეგმილი შეხვედრების ორგანიზება.

რების მთავარი საბაბი იყო. ეს შეხედულებები ნაშრომის სახით 2003 წლის მაისში ქალაქ უფაში (ბაშკირეთი) გამართულ კონფერენციაზე – Этнорелигиозное образование и духовно-нравственное воспитание молодежи – წარმოვადგინე, რომელიც შემდეგ ჟურნალ „ჭოროხში“ (ქ. ბათუმი) დაიბეჭდა. ნაშრომს საზოგადოების დიდი ინტერესი და გამოხმაურება მოჰყვა.

აღნიშნული თემა მთლიანად ფილოსოფიური მსჯელობის შედეგია, ამიტომ პირველ რიგში სწორედ ფილოსოფიის საწყისებს შევეხები, რაც ჩვენი შემდგომი საუბრებისთვის მყარ საფუძველს შექმნის.

ძველ საბერძნეთში ჩვენს წ.აღ. VI საუკუნეში სახელგანთქმულ შვიდ ბრძენზე მსჯელობისას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა **პითაგორას** უთქვამს: **„ბრძენი მხოლოდ ღმერთია, ჩვენ კი მხოლოდ სიბრძნის მოყვარულები ვართო“.** პირველად საბერძნეთში ასე დაიბადა ცნება „ფილოსოფია“ – „სიბრძნის სიყვარული“[1].

ეს არის მისი ზუსტი განმარტება, ფილოსოფიის მთავარი დანიშნულება კი საზოგადოებაში არსებულ საჭირბოროტო კითხვებზე საფუძვლიანი და სამართლიანი პასუხის გაცემაა.

---

1 ***А. В. Волошинов.*** Пифагор. Москва, изд-во «Просвещение», 1993, стр. 20

წარმართულ სამყაროზე კერპთაყვანის-მცემლობის ბატონობიდან მოყოლებული, ფილოსოფიური აზრი უდიდეს როლს ასრულებდა ერთი ღმერთის – **მონოთეიზმის იდეის განმტკიცებაში. ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის მრავალი მოაზროვნე, ქვეყნის შემოქმედად და ყოვლისშემძლედ სწორედ ერთ ღმერთს მიიჩნევდა.**

ტრადიციული მსოფლიო რელიგიების – **იუდაიზმის, ბუდიზმის, ქრისტიანობის და ისლამის** ჩამოყალიბების და გავრცელების შემდეგ, მოაზროვნე ადამიანები, მორწმუნე ფილოსოფოსები აქტიურად მოქმედებდნენ როგორც რელიგიის გარეთ, ისე მის შიგნით არსებული განხეთქილების მოსაგვარებლად და რელიგიის ურწმუნო მოაზროვნეებისგან დასაცავად. ჩვენი დიდი წინაპარი, მეცნიერი, ისტორიაში ღვთიურ ფილოსოფოსად წოდებულ **იოანე პეტრიწი** XI-XII საუკუნეებში თანამემამულეებს ასე მიმართავდა: **„აუცილებელია მივყვეთ ფილოსოფიის შესწავლას და ფილოსოფიური ცოდნით შეიარაღებულებმა ვიბრძოლოთ უღმერთო ეპიკურელების წინააღმდეგ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის“.**

VII საუკუნიდან მოყოლებული (როცა საბოლოოდ დამკვიდრდა ისლამის რელიგია), კა-

ცობრიობა სამყაროში ტრადიციული და მსოფ-
ლიო რელიგიების მრავალფეროვნებას ხედავს,
რომელიც, თავის მხრივ, ერთი ღმერთის იდეას
ემსახურება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოვე-
ლი მათგანი საკუთარი რელიგიის დოგმებზეა
დაფუძნებული, რომელიც მხოლოდ რწმენით
მიიღება.

სხვადასხვა მიმართულების რელიგიურ
კონფესიათა (აღმსარებლობა) შორის კონ-
ფლიქტები, რომელთა გამოც კაცობრიობას
საუკუნეების მანძილზე აუნაზღაურებელი ფი-
ზიკური და მორალური ზიანი მიუღია, დღემ-
დე მწვავე პრობლემად რჩება. სწორედ ამ სა-
კითხზე მინდა გავამახვილო განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება.

2004 წელს გაერთიანებული ერების ორგა-
ნიზაციის გენერალური მდივნის **კოფი ანანის**
ინიციატივით, სამყაროში შექმნილი ურთუ-
ლესი მდგომარეობისა და თანამედროვე გა-
მოწვევების შესახებ თავიანთი შეფასებების
გასაკეთებლად მოწვეული იყვნენ მსოფლიოს
უმაღლესი დონის გამოჩენილი მოღვაწეები და
ბრძენი ადამიანები. მათ, გლობალური პრობ-
ლემებიდან გამოსავალი გზების საძიებლად
თავიანთი რეკომენდაციები უნდა წარმოედგი-
ნათ.

შეიქმნა მრჩეველთა ჯგუფი, რომელსაც,

გენერალური მდივნის **კოფი ანანის** თხოვნით, სათავეში ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ანან პანიარაჩუნი** ჩაუდგა. მრჩეველთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ:

1. **რობერტ ბადენტერი** (საფრანგეთი);
2. **ჟუან ბაენა სუარისი** (ბრაზილია);
3. **გრუ ხარლემ ბრუნდტლანდი** (ნორვეგია);
4. **მერი შინერი** - ხესსე (განა);
5. **გარეტ ევანსი** (ავსტრალია);
6. **დევიდ ხანნეი** (დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ
ირლანდიის გაერთიანებული სამეფო);
7. **ენრიკე იგლესიასი** (ურუგვაი);
8. **ამრ მუსსა** (ეგვიპტე);
9. **სატიშ ნამბიარი** (ინდოეთი);
10. **სადაკო ოგატა** (იაპონია);
11. **ევგენი პრიმაკოვი** (რუსეთის ფედერაცია);
12. **ციან ციჩენი** (ჩინეთი);
13. **ნაფის სადიკი** (პაკისტანი);
14. **სალიმ ახმედ სალიმი** (ტანზანია);
15. **ბრენტ სკოუკროფტი** (ამერიკის შეერთებული შტატები)

უმაღლესი დონის მრჩეველთა ჯგუფმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ წარმოადგინა თავიანთი შეხედულებები არსებული პრობლემების შესახებ, ასევე რეკომენდაციები მათი გა-

დაჭრის გზებთან დაკავშირებით[1].

წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, თანამედროვე სამყაროში არსებული მთავარი საფრთხეებია:

✓ **ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური შეიარაღების ზრდა, ეკოლოგიური დეგრადაცია;**

✓ **ეკონომიური და სოციოლოგიური საფრთხეები, მათ შორის სიღატაკე, ინფექციური დაავადებები, შიდსი, ნარკომანია;**

✓ **სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები;**

✓ **სამოქალაქო ომები, საშინაო კონფლიქტები, გენოციდი და სხვა მასობრივი არაადამიანური მოპყრობები;**

✓ **ტერორიზმი;**

✓ **სხვადასხვა ერებს შორის დაპირისპირებების შედეგად ორგანიზებული დანაშაულობები.**

დღევანდელ სამყაროში განსაკუთრებულად გლობალური ხასიათი მიიღო ნარკომაფიის, შიდსისა და ტერორიზმის საფრთხეებმა[2].

ტერორიზმი, სხვადასხვა ერებს შორის დაპირისპირებები, გენოციდი და მათი თანმხლე-

1 ООН. Генеральная Ассамблея. Пятьдесят девятая сессия. Пункт 55. Последующие меры по итогам саммита тысячелетия. 2004 г., стр.1; 30.

2 ***П.В. Алексеев.*** Социальная филоософия.Глава VII. Мир глобальных проблем. Москва, 2004 г. стр. 167.

ბი უბედურებები, ძირითადად, რელიგიური ფანატიზმითაა გამოწვეული. ამის ერთ-ერთი სამწუხარო მაგალითი ტერორისტული სახელმწიფო **„იგილის“** წარმოშობაა. რომ არა მსოფლიოს ზესახელმწიფოთა ერთობლივი სამხედრო მოქმედებები, იგი მთელს კაცობრიობას მოიცავდა და საფრთხეს შეუქმნიდა, მის ფანატიზმს ხომ საზღვარი არ გააჩნია!

ბოლო წლების მანძილზე რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილმა კონფლიქტებმა კაცობრიობა III მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე დააყენა. ამან გამოიწვია თითქმის ყველა ის პრობლემა, რაც გაეროსთან შექმნილმა ბრძენთა საბჭომ წარმოადგინა – **შიმშილი, სიღატაკე, მილიონობით ლტოლვილთა მიგრაცია, ქვეყნის შიგნით ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები და ა.შ.**

რომის პაპმა **ფრანცისკემ** და რუსეთის პატრიარქმა **კირილემ** საერთაშორისო საზოგადოებას ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანთა შევიწროებისა და დევნის აღმოსაფხვრელად ერთობლივად დაუყოვნებელი ქმედებისკენ მოუწოდეს.

თავის მხრივ, მუსლიმანებიც გამოთქვამენ პროტესტს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნებში მათი შევიწროვების თა-

ობაზე.

რომის პაპმა და რუსეთის პატრიარქმა კონფლიქტებში ჩართულ ყველა მხარეს ტერორიზმის აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომისკენ, ხოლო ყველა მორწმუნეს უფლის წინაშე მხურვალე ლოცვისკენ მოუწოდეს, რათა ამით კაცობრიობა ახალი ომებისაგან იხსნან[1].

გამოჩენილი ძალისხმევის მიუხედავად, მსოფლიოში დაძაბულობა და კონფლიქტები ყოველდღიურად მატულობს და არასოდეს მოგვარდება, სანამ ახლებური ხედვით, განათლების გზით არ მოხდება ცვლილებები რელიგიურ მსოფლმხედველობაში. დარწმუნებული ვარ, ეს ხანგრძლივი მეცადინეობების შედეგად აუცილებლად დადებით შედეგს გამოიღებს და ჩვენი მომავალი თაობების მშვიდობიან თანაარსებობას უზრუნველყოფს.

სამყაროს ძლიერ სახელმწიფოთა ძალისხმევით, ტერორისტული „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობა მალე დასრულდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამით დაპირისპირების კერა აღარ იარსებებს, იგი დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ფორმით მაინც გამოვლინდება!

---

1 Совместное заявление Папы Римского Франциска и Святейшего Патриарха Кирилла. Гавана, Куба, 12. 02. 2016 г.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად გაერთიანებული ერების მიერ გაკეთებული დასკვნებისა და მზრუნველობისა, წლების შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბულია.

ვფიქრობ, ამ საკითხზე ახლებური მიდგომაა საჭირო, რაზედაც მინდა გავამახვილო ყურადღება.

ტერორიზმის აღმოფხვრასთან დაკავშირებით გაეროს უმაღლესი დონის მრჩეველთა ჯგუფის მიერ გაკეთებული რეკომენდაციები სხვადასხვა ძალისმიერ მეთოდებს, სანქციებს, ღონისძიებებს, მათ შორის განათლების, მეცნიერების გზით მოგვარების შესაძლებლობას ითვალისწინებს. თვითშეგნების, შემეცნების გზა, მართალია, ხანგრძლივი, მაგრამ ყველაზე აუცილებელი და საიმედო პროცესია, რომელმაც საძირკველშივე უნდა მოსპოს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებების გამომწვევი მიზეზები. ეს იქნება XXI საუკუნის უდიდესი მიღწევა ღირსეული და ბედნიერი მომავლისათვის, რომელსაც დიდი მოკრძალებით და იმედით ვუძღვნი ამ ნაშრომს.

* * *

დღეს გამუდმებით გვესმის თანამედროვე პრობლემებზე, ვსაუბრობთ ბუნებაში არსებულ საგანგაშო ეკოლოგიურ მდგომარეობაზე,

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ეკოლ-ოგიაზე, სილამაზის ეკოლოგიაზეც კი საუბ-რობენ, მაგრამ აზროვნების ეკოლოგია არავის აინტერესებს, რაც, ჩემი აზრით, ყოველგვარი უბედურების ძირითადი საფუძველია.

„ეკოლოგია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სწავლებას ადგილსამყოფელის, გარემოს შე-სახებ.

ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების მთავა-რი ამოცანაა, განსაზღვროს ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების საზღვრები, გამო-იკვლიოს და ადამიანს შესთავაზოს გარემო-ზე ზემოქმედების ის მეთოდები, რომლებიც არა მარტო შეაჩერებენ მოსალოდნელ კატას-ტროფებს, არამედ საშუალებას მისცემს არ-სებითად გააუმჯობესოს ბიოლოგიური და სო-ციალური პირობები ადამიანისა და ყოველი ცოცხალი არსებისა დედამიწაზე.

წიგნში „აზროვნების ეკოლოგია – კაცობ-რიობის ხსნის მთავარი საშუალება – ეკოლ-ოგია იგულისხმება“ ფართო გაგებით. იგი თავის თავში მოიცავს ადამიანის სულიერად გასუფთავებას, ზნეებრივად განწმენდას.

აზროვნების ეკოლოგიამ მომავალში უნდა შეისწავლოს, შეიმუშაოს და ადამიანებს შეს-თავაზოს ის მეთოდები (დამცავი მექანიზმე-ბი), რაც ხელს შეუწყობს მომავალი თაობების

სუფთა, ჯანსაღ აზროვნებას. იგი იქნება, როგორც ბუნებაში ეკოლოგიური სასუფთავისთვის, ასევე, კაცთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის მთავარი გარანტი.

როდესაც ზემოთ წარმოდგენილ ექვს მთავარ საფრთხეს ყურადღებით ვეცნობით, ვხედავთ, რომ ისინი ადამიანისგან მომდინარეობენ. **კაცობრიობის მთავარი მტერი თვით ადამიანია – მისი აგრესიული ბუნება, ვნების პროცესი, მომხვეჭელობა, დემოკრატიის არასწორად გაგებით გამოწვეული გარყვნილების პროპაგანდა – ადამიანს ყოველივე სულიერად წმინდა და ამაღლებულის განადგურებაში უწყობს ხელს.**

ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარებამ, ყოვლისმომცველი გლობალიზაციის პროცესების უმართავი სისწრაფით ზრდამ, თანამედროვე საღად მოაზროვნე ადამიანები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ცივილიზაციის განვითარება სულიერი კულტურის თანდათანობით განადგურებას, ზნეობრივი ნორმების უსულგულო ინტელექტით ჩანაცვლებას იწვევს[1].

იტალიელი ჰუმანისტი, ფილოსოფოსი **პიკო დელლა მირანდოლას** (1463-1496 წ.წ.) ერთ-ერთ ტრაქტატში, სადაც ადამიანის თავისუფ-

1 Словарь философских терминов, Москва, 2004, стр. 369.

ლებასა და თანასწორობაზეა საუბარი, ღმერთი ასე მიმართავს ადამს: **„მე შენთვის, ადამ, არავითარი სამუდამო ბინა და საქმე არ მომიცია. ეს იმისთვის, რომ საცა შენ გიამოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს, ის საქმე გაიჩინო... იმისათვის, რომ თვითონ იყო შენი თავის „მკეთებელი“ და ისეთი სახე მიიღო, როგორც შენ თვითონ გსურს... შენ შეგიძლია პირუტყვამდეც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამდეც მაღლა ახვიდე“**[1].

დღეს, როდესაც ადამიანის სირცხვილის გრძნობისგან სრული გათავისუფლებისკენ სწრაფვა ზნეობრივი პროგრესის ნიშნით ხდება, თანამედროვე ადამიანმა საკუთარ თავს კითხვა უნდა დაუსვას: **– ჩვენთვის მონიჭებული სრული თავისუფლებით საით მივექანებით?** ვფიქრობ, რომ სირცხვილის გრძნობისგან სრული გათავისუფლებისკენ სწრაფვა სრულიად საწინააღმდეგო უკიდურესობის, რელიგიური ფანატიზმის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

თანამედროვე სამყაროში ზნეობრივი პროგრესი შეიძლება იყოს მწვანეთა მოძრაობა ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, ცხოველთა უფლებების დაც-

---

1 ნიაზ ბოლქვაძე. „საკუთარ თავთან ფიქრებში“. ზნეობრივი წრებრუნვა. ბათუმი,2012, გვ.86.

ვა, ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანად აღიარება განურჩევლად აღმსარებლობის და ეროვნებისა, ხალხთა შორის მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობებისათვის ზრუნვა და სხვა.

რაც შეეხება ისეთ მარადიულ სულიერ ღირებულებებს, რომელიც სათავეს ადამიანის გაჩენასთან ერთად იღებს, ზნეობრივი ნორმები, რომლითაც ის ნამდვილ ადამიანს ემსგავსება, მსოფლიოს სხვადასხვა ერებში უძველესი დროიდან ათასწლეულების მანძილზე თავისი სპეციფიკურობებით ვითარდება და თაობიდან თაობებს უცვლელად გადმოეცემა, მისი პროგრესი შეუძლებელია...

აღიარებული ჭეშმარიტებით, ბუნებაში ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ, მკაცრად განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება. ბუნების კანონების დარღვევა კი აუცილებლად უკუშედეგებს იძლევა. ადამიანი ხომ ბუნების ნაწილია, აქედან გამომდინარე, მარადიული სულიერი ღირებულებების ხელყოფა, ადამიანის გონების დაბინძურება ზემოთ აღნიშნული ყველა იმ უბედურების საწყისია, რაც კაცობრიობას გარდაუვალი საფრთხით ემუქრება.

რატომ არის დღეს ბუნება ეკოლოგიურად ისე დაბინძურებული, როგორც არასდროს?

რატომ არის, რომ დღეს ტერორიზმი, შიდსი, ნარკომანია და სხვა უმსგავსოება უმართავ მწვერვალებს აღწევს? იმიტომ, რომ ადამიანის საკაცობრიო აზროვნება ასე შერყვნილ-შებღალული, დაბინძურებული არასოდეს ყოფილა, როგორც ახლა. მაგრამ საგანგაშო მდგომარეობა, მოგეხსენებათ, ყოველთვის როდი ნიშნავს დასასრულს!!!

* * *

„რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“, – ბრძანებს დიდი **შოთა რუსთაველი.**

ფილოსოფიური და რელიგიური თვალსაზრისით, სამყაროში ყოველთვის ყველაზე დიდი ადგილი ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის აღზრდას, ხალხის, საზოგადოების კეთილდღეობას და საერთოდ, ადამიანური ბედნიერების დონის ამაღლებას ეთმობოდა. ამერიკელი სოციოლოგი **ლ. ფ. უორდი** (XIX-XX ს.ს.) წერდა: **„ვინაიდან ადამიანის ცხოვრების საბოლოო მთავარ მიზანს ბედნიერება წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, ნამდვილი პროგრესი მისკენ უნდა იყოს მიმართული. ამიტომაც პროგრესი შედგება ადამიანური კეთილდღეობის გაუმჯობესების, ან უარყოფითი მხრიდან რომ ვთქვათ, ადამიანური უბედ-**

ურებების შემცირებაში“[1].

XX საუკუნის გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი **ბერდიაევი** იგივე მნიშვნელობის აზრს გამოთქვამდა. **პ. სოროკინის** განმარტებით, ბედნიერების პრინციპის გარეშე საზოგადოების რეალური განვითარება და სრულყოფა არ არსებობს. ის ამბობს: **„პროგრესის ყველა კრიტერიუმი, რანაირადაც მრავალფეროვანი არ უნდა იყოს, მათ შორის ჩართულია და ასე თუ ისე, ბედნიერების პრინციპი მოიაზრება“[2].**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე საზოგადოების განვითარების მთავარი კრიტერიუმებია:

✓ **კომპიუტერიზაცია, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარება;**

✓ **მომსახურების სფეროს განვითარება, განსაკუთრებით, ჰუმანიტარული მიმართულებით, ასევე პროფესიულ-ტექნიკური თვალსაზრისით;**

✓ **პიროვნების თავისუფლების ხარისხის ზრდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში, საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების დონის ამაღლება;**

✓ **რეალური შესაძლებლობების ხარისხის**

---

1 ***П.В. Алексеев.*** Социальная философия. Москва, 2004, стр.239.

2 იქვე, გვ. 240

ზრდა პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისთვის.

საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისკენ უნდა იყოს მიმართული. ნებისმიერი სფერო: ეს იქნება რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, ეკონომიკა, შემოქმედებითი საქმიანობა, საზოგადო მოღვაწეობა თუ სხვა, მისი უმთავრესი მიზანი – ადამიანის ბედნიერება, ღირსეული აწმყო და მომავალი უნდა იყოს, რომლის გარეშეც ნებისმიერი საქმიანობა თავის აზრსა და მნიშვნელობას კარგავს.

„ყველა პროგრესი რეაქციულია, თუ ის იწვევს ადამიანის ნგრევას“ – გვაფრთხილებს XVIII საუკუნის გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი **ი. გერდერი**[1].

ამიტომ, მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში უპირველესად ზნეობრივი დამოკიდებულება უნდა ისახებოდეს. სამწუხაროდ, თანამედროვე სამყაროში ზნეობრივი დამოკიდებულების დეფიციტმა, სხვა ადამიანთა ბედისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ წარმოშვა ზემოთ ჩამოთვლილი ჯერ გადაუჭრელი მთავარი საფრთხეები.

აქედან გამომდინარე, ადამიანში იკარგება მთავარი დამახასიათებელი თვისება – ადამიანურობა.

---

1 ***А. Вознесенский*** Собр.соч.Москва, 1983, т. I,стр. 411.

სიტყვა „ზნეობას“ მრავალმხრივი განმარტებებიდან ერთი მთავარი საფუძველი და არსი გააჩნია – **ეს არის ადამიანის მიერ სიკეთის ნებაყოფლობითი ქმნის სურვილი, სხვა ადამიანებისა და საზოგადოების მიმართ კეთილი დამოკიდებულება.**

ზნეობრივ პროგრესთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც ვხედავთ, ყველაფრის საფუძველი და თავია, მინდა ჩემი შეხედულება გამოვთქვა:

იტალიელმა მოაზროვნემ, ფილოსოფოსმა **ჯან-ბატისტა ვიკომ** (XVII-XVIII ს.ს.) წარმოადგინა ერებისთვის დამახასიათებელი წრებრუნვის თეორია: **„ერები, თავისი თანდათანობითი მოქმედებითი მოძრაობით მიდიან და უბრუნდებიან ბარბაროსულ მდგომარეობას, შემდეგ კი კვლავ თავიდან იწყებენ აღორძინებას“**[1].

ზნეობრივი წრებრუნვის არსებობის რეალობა უძველესი დროიდან დღემდე ქართველი ერის მაგალითზე, წარმოვადგინე წიგნში: **„საკუთარ თავთან ფიქრებში. წერილი პატრიარქს**[2].

დღეს, ვფიქრობ, უფრო მეტი შეიძლება ითქვას ამის თაობაზე, კერძოდ: გლობალიზაციის

---

1 Словарь философских терминов. Москва, 2004, стр. 369.

2 ნიაზ ბოლქვაძე. „საკუთარ თავთან ფიქრებში“. ბათუმი, 2012, გვ. 70.

ყოვლისმომცველი პროცესების ზრდასთან ერთად არათუ ცალკეული ერები, არამედ მთელი სამყარო ჩართულია ზნეობრივი წრებრუნვის პროცესში და მას დაღმართისკენ მიაქანებს. საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ჩართულობით, მოაზროვნე ადამიანების – მეცნიერების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების აზრის გათვალისწინებით, მსოფლიო დონის გავლენიან პოლიტიკოსთა თანადგომით, აზროვნების ეკოლოგიის დამკვიდრების მცდელობით შესაძლებელი გახდება ზემოთ აღნიშნული საფრთხეებისგან თავის დაღწევა, რათა კაცობრიობა ზნეობრივი წრებრუნვის დაღმართიდან აღმავლობას დაადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა დროთა განმავლობაში კაცობრიობამ ზნეობრივი წრებრუნვის პროცესი, ანუ არსებობა შეწყვიტოს.

აქედან გამომდინარე, კაცობრიობის მთავარი მტერი, როგორც ჩანს, თვით ადამიანია. სწორედ ამიტომ გამიჩნდა მოსაზრება აზროვნების ეკოლოგიის შესახებ. კერძოდ, ვიდრე ადამიანი ბუნებაში არსებულ ეკოლოგიურ და სხვა პრობლემათა გადაწყვეტაზე იზრუნებს, უპირველესად, საჭირო ა ჯერ თვით ადამიანის გონება გასუფთავდეს ეკოლოგიურად იმ მანკიერებათაგან, რომლებიც იწვევს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პრობლემას... ამიტომ, კა-

ცობრიობის გადარჩენა – უპირველესად აზროვნების ეკოლოგიაში უნდა დავინახოთ.

* * *

ექვსი უდიდესი საფრთხისაგან ერთ-ერთი ყველაზე საშიში – რელიგიათა დაპირისპირება და ტერორიზმია. აქედან გამომდინარე, მინდა დავუბრუნდე რელიგიის თემას, კონკრეტულად ამ საკითხზე გავამახვილო ყურადღება და ჩემი მოსაზრებები გამოსავალ გზებთან დაკავშირებით ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე წარმოვადგინო.

რელიგიის მრავალფეროვნებასთან ერთად, სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნე ადამიანების ფიქრისა და ზრუნვის საგანი ყოველთვის აღნიშნული პრობლემის გადაჭრა – რელიგიათა შორის მშვიდობისა და ჰარმონიული თანაცხოვრების მიღწევა გახლდათ.

როდესაც სახელმწიფოში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები მშვიდობიანად და მეგობრულად თანაარსებობენ, ეს მხოლოდ ამ რელიგიის სულიერ წინამძღოლთა, მათი მრევლის სიბრძნისა და ქვეყანაში ხელისუფლების სწორი პოლიტიკის დამსახურებაა. სადაც კი ეს სიბრძნე ირღვევა, იქ ჩვენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა შორის უკმაყოფილებას, ურთიერთდაპირისპირებას, პროვოკაციულ

მდგომარეობას ვხედავთ, რითაც ძირითადად ამ ქვეყნისა და ხალხის არაკეთილმოსურნეები სარგებლობენ.

XX საუკუნეში ფართო გავრცელება ჰპოვა რელიგიურმა „ეკუმენისტურმა“ მოძრაობამ, რომელსაც საფუძვლად ყველა ტრადიციული რელიგიების ერთ მსოფლიო რელიგიად გაერთიანების იდეა უდევს.

ზოგიერთმა რელიგიურმა მოღვაწემ ეს მოძრაობა ორ ეტაპად დაყო:

პირველ ეტაპზე – წარმოდგენილია ყველა ქრისტიანული ეკლესიის გაერთიანება ერთ ეკლესიად;

მეორე ეტაპზე – ყველა ტრადიციული კონფესიის – ბუდიზმის, იუდიზმის, ქრისტიანობის, ისლამის გაერთიანება ერთ მსოფლიო რელიგიად.

ნებისმიერი კონფესია ღვთისმსახურების გზაზე საკუთარ რელიგიას ყველაზე სამართლიანად თვლის და მიუთითებს, რომ კაცობრიობის სხვა დანარჩენი ნაწილი, მისგან განსხვავებული რელიგიური მიმდინარეობები, მცდარ გზას ადგანან და არ კარგავენ იმედს, რომ მომავალში ისინიც მათ მიერ აღიარებულ ჭეშმარიტ გზას დაადგებიან.

ამის ერთ-ერთი მაგალითი ცალკეული რელიგიის წარმომადგენელთა მისიონერული

საქმიანობაა. ის ყოველ რელიგიას თავისებური ფორმით ახასიათებს, რაც მიზნად ისახავს ამა თუ იმ სარწმუნოების მნიშვნელობის მსოფლიოსთვის გაცნობას და გავრცელებას, სხვა ერების მათ სარწმუნოებაზე მოქცევას.

მაგალითად, ძვ.წ. III საუკუნეში ინდოეთის მეფე აშოკმა ახალი, ინდოეთისთვის ჯერაც არატრადიციული რელიგია **ბუდიზმი** მოიწონა და მისი მთელი მსოფლიოსთვის გაცნობა გადაწყვიტა. ამ მიზნის განსახორციელებლად მან მისიონერები დაგზავნა მსოფლიოს შორეულ ქვეყნებში – ეგვიპტეში, საბერძნეთში, სირიაში და ა.შ[1].

ქრისტიანული მისიონერული საქმიანობა კი მისი წარმოშობისთანავე დაიწყო. მშვიდობიანი ქრისტიანული მისიის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ჩვენი სამშობლო – საქართველო, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა I საუკუნეში იქადაგა.

მუსლიმანური რელიგია, თავისი წარმოშობისა და არაბეთის ნახევარკუნძულზე განმტკიცების დღიდან, აქტიურად ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას მთელს მსოფლიოში – ამასთან, უმეტესწილად დაპყრობითი ომების ფონზე. დღეს ისლამის რელიგიის პროგ-

1 История древнего востока. Москва, изд-во «Высшая школа», 2001 г. стр. 342.

რესულად მოაზროვნე ნაწილი ისლამის გავრცელების პროცესს „ჯიჰადს“ განათლების, თვითშემეცნების გზით წარმოიდგენს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სარწმუნოების ერთ-ერთი ვაჰაბისტური მიმდევრობა „ჯიჰადის“ ერთ-ერთ მთავარ გზად შეიარაღებული ძალების გამოყენებას მიიჩნევს, როგორც ეს იყო არაბთა ძლიერი ხალიფატის დროს.

ამის სამწუხარო მაგალითია სირიის ტერიტორიაზე ახლად შექმნილი ტერორისტული სახელმწიფო, რომელსაც თვით განვითარებული ისლამური სახელმწიფოები და ჭეშმარიტი მორწმუნე მუსლიმები ეწინააღმდეგებიან.

რაც შეეხება რელიგიურ მოძრაობას – ტრადიციული რელიგიების ერთ მსოფლიო რელიგიად გაერთიანების თაობაზე, – ეს, ერთი შეხედვით, კეთილი სურვილებით, ტოლერანტობის პრინციპებითაა ნაკარნახევი, რათა არ დავუშვათ რელიგიური ომები, კონფესიათა შორის კონფლიქტები და ამით სამყაროში მშვიდობა, მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა დამკვიდრდეს.

თუმცა, ჩემი შეხედულებით, ასეთი იდეა უტოპიური და პრაქტიკაში განუხორციელებელია. რელიგიური კონფესიები არასდროს გაერთიანდება ერთ მსოფლიო რელიგიად, რადგანაც ყოველი რელიგია თავის დოგმატურ აზ-

როვნებას ემყარება.

ყველა რელიგიის ერთ მსოფლიო რელიგიად გაერთიანება, დამერწმუნებით, ძალიან ჰგავს მსოფლიო კომუნიზმის მოწოდებას – **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“** – მაგრამ მშვიდობიანი გზით გაერთიანების შემთხვევაში, ბუნებრივია, რელიგიურ ლიდერთა წინაშე დაისმება მთავარი კითხვა: – **ვინ იქნება წარმმართველი ძალა და როგორ იწოდება ახალი გაერთიანებული რელიგია?**

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ადამიანი, მით უმეტეს, წინამძღოლი, მხოლოდ იმ რელიგიის უპირატესობას და უპირობო ჭეშმარიტებას ცნობს, რომელსაც ის მიეკუთვნება.

მიუხედავად ამისა, რელიგიებს ნამდვილად აქვთ საერთო: თუ გავეცნობით იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის, ბუდიზმის, -– ანუ ყველა ტრადიციული რელიგიის საღვთო ლიტერატურებს, დავრწმუნდებით, რომ მათ აქვთ ერთი საერთო პრინციპი – **მთავარი სიბრძნე, ოქროს წესი, რომელიც ყველა რელიგიას აერთიანებს: „რაც არ გინდა შენთვის, ნუ უსურვებ სხვებს“.**

ძველ ინდურ მახაბხარატში (ძვ.წ. I ს.) ის შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: **„იმას, რაც შენთვის არასასიამოვნოა, ნუ გაუკეთებ სხვას“.**

ჯერ კიდევ ჩინეთში (ძვ.წ. V ს.) **კონფუცი**, რომლის მოძღვრებაც ჩინელი ხალხისათვის რელიგიად იქცა, ქადაგებდა: **„რაც შენთვის არ გსურს, ნუ უსურვებ სხვას“.**

ძველი რომაელი ფილოსოფოსი **სენეკა** (I ს.), რომლის ფილოსოფიურმა ნაშრომებმაც დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანული სარწმუნოების განვითარებაზე, ამბობდა: **„შენზე დაბლა მდგომს მოექეცი ისე, როგორც შენ ისურვებდი, რომ მოგქცეოდა შენზე უფრო მაღლა მდგომი ადამიანები“.**

იესო ქრისტე, რომელიც ადამიანთა ცოდვებისთვის ეწამა, ქადაგებდა და ხალხს მოუწოდებდა, რომ როგორც მათ სურთ მოქცეოდათ ადამიანები, ასევე მოქცეოდნენ ისინიც სხვებს, რადგანაც ამაშია ჭეშმარიტება და სარწმუნოება: **„დაუკვირდით, რასაც ისმენთ: რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ და მოგემატებათ“**[1].

იგივე სიბრძნე, – **„თუ ადამიანი აკეთებს ვინმეს მიმართ სიკეთეს, სიკეთითვე დაუბრუნდება“,** – ისლამის საღვთო ლიტერატურაში, ყურანში შემდეგი ფორმითაა მოყვანილი: **„ვინც კეთილი საქმე ჩაიდინოს, მისგან სიკეთე მიიღოს, ხოლო ვინც ბოროტი ჰქმნას – მათ მი-**

---

1 ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი,1992, გვ.75, თავი 4.

ეგოს თავიანთი საქმეთაებრ“[1].

მხოლოდ თქვენდა საქმეთაებრ მოგეგოსთ[2].

ეს წესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა ტრადიციული რელიგიისთვის ძირითადი პრინციპია. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მოწმობს ის ფაქტი, რომ შეკითხვაზე – **რისთვის იბადება ადამიანი?** – ყოველი რელიგია პასუხობს: **„ადამიანი იბადება სიკეთისთვის“,** მათი საღვთო წერილები კი თავისი ამოუწურავი სიბრძნით კაცობრიობას ამ სიკეთის გზით უმაღლესი ჭეშმარიტების – ღმერთისკენ მიუძღვებიან.

რაც უფრო ღრმად ვცდილობდი სხვადასხვა რელიგიის არსში ჩაწვდომას, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ყოველი ტრადიციული რელიგია მთავარს – უმაღლეს ჭეშმარიტებას, ერთი ღმერთის იდეას, კაცთმოყვარეობას და დიდსულოვნებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებით დავიწყე ფიქრი ისე, როგორც ფიქრობდნენ სხვა მოაზროვნე ადამიანები უძველესი დროიდან დღემდე, როგორებიც იყვნენ **ჰანს ჰაიზინგი, ფრანსუა მარი ვოლტერი** და სხვები. – თუკი ყველა რელიგია ერთ მიზანს ემსახურება, მისი დანიშნულება – ერთია, აქვთ ერთი მთავარი პრინ-

1 ყურანი. თბილისი, 1905 წ., გვ. 384, თავი XXVIII, 84.
2 ყურანი. თბილისი, 1905 წ., გვ. 435, თავი XXVIII, 38.

ციპი, ე.ი. უნდა იყოს მხოლოდ ერთი რელიგია, ერთნაირი მიდგომა, ერთი გზა უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ, რათა თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები და ურთიერთდაპირისპირებები.

მაგალითისთვის, მრავალ მოაზროვნეთა შორის მოკლედ განვიხილოთ ფრანგი განმანათლებლის **ვოლტერის** აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

„უკლებლივ ყველა რელიგია ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას გვიმხელს და ამბობს: – „იყავით სამართლიანი და სიკეთე ჰქმენით“. მაგრამ ვოლტერი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ეკლესიას მისთვის დამახასიათებელი დოგმების გამო ებრძოდა, კონფესიათა შორის არსებული წინააღმდეგობების, ასევე დოგმებისა და რელიგიური ფანატიზმის პრობლემების გადაწყვეტას აგრესიული მიდგომით ცდილობდა: **„თავს დაესხით ფანატიკოსებსა და ვიგინდარებს, გააბათილეთ მათი უგნური ლაყბობა, მათი საზიზღარი სოფიზმები, ისტორიული ტყუილი, წინააღმდეგობანი, დაუსრულებელი უაზრობანი, წინ აღუდექით იმას, რომ საღად მოაზროვნე ადამიანები იმათი მონები გახდნენ, ვისაც არავითარი გონება არა აქვთ“**[1].

ვოლტერი და სხვადასხვა ეპოქის მოაზროვ-

1 Философский энциклопедический словарь. Москва. Инфра – М., 1999, стр. 74.

ნე ადამიანები, მართალია, ცნობდნენ ყველა ტრადიციული რელიგიის ჭეშმარიტებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მიერ შემოთავაზებული აზრი, აგრესიული მიდგომა კიდევ უფრო უარესად ამწვავებდა მდგომარეობას და საზოგადოებას ამ მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად სასარგებლოს არაფერს სთავაზობდა.

ავტორიტეტი კი არ უნდა ბატონობდეს საღ აზრზე, პირიქით, საღი აზრი – ავტორიტეტზე, ამ პრინციპიდან გამომდინარე, მინდა გამოვთქვა შემდეგი: ფილოსოფიაში ჭეშმარიტების დასადგენად, როგორც ცნობილია, ყველაზე მთავარი და უპირველესი, პრობლემასთან დაკავშირებული კითხვების დასმაა.

ვრწმუნდებით რა, რომ ყველა რელიგიის, მიუხედავად ერთი საერთო პრინციპისა, გაერთიანება შეუძლებელია, არასწორი მიდგომა კი უფრო მეტ აგრესიას იწვევს, აქედან დამებადა კითხვა ყველა აღმსარებლობის მიმართ: **– თუ ყველა რელიგია ერთ მთავარ პრინციპზეა დაფუძნებული, მაშინ რატომ მოხდა რელიგიათა დაყოფა?**

აი, მთავარი კითხვა – რატომ? პასუხი სწორედ აქ უნდა მეპოვა, მათი წარმოშობის სათავეებთან. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ აქედან შეიძლებოდა ჭეშმარიტების მიგნება,

მაგრამ ჩემს შეკითხვას არც ერთი კონფესია პასუხს არ გასცემდა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო.

იესო ქრისტე გვასწავლის: – **„დააკაკუნე და გაგიღებენ, ითხოვე და მიიღებ“** – და ჩემს წინაშეც გაიღო კარები ჭეშმარიტებისკენ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

გამოჩენილ მეცნიერთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტების, ახლის მაძიებელი მეცნიერისთვის მხოლოდ კარგი განათლება საკმარისი ვერ იქნება, ამასთან ერთად საჭიროა უდიდესი წარმოსახვის უნარიც. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ (ერთკვირიანი დუმილი საკუთარ თავთან ფიქრებში), მოულოდნელად, ჩემს გონებაში წამიერად რაღაც გაბრწყინება მოხდა **– მთელი სამყარო ლურჯ-ოქროსფერ სხივებით განათდა... გარკვეული დროის შემდეგ უცებ ერთდროულად წარმომესახა კაცობრიობის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე და მივაკვლიე ათასწლეულების ლაბირინთებში ჩაფლულ პასუხს კითხვაზე, სწორედ იმას, რასაც წლების მანძილზე ვეძებდი.**

მთავარი საიდუმლო კი შემდეგში მდგომარეობს:

ბრძნულ ფრთიან გამონათქვამებში გვხვდება ასეთი ფრაზა: „დაყავი და იბატონე“. გამო-

ნათქვამს ძველი რომის იმპერიიდან მაკედონიაში მივყავართ და ისტორია **ალექსანდრე მაკედონელის** მამას, ფილიპეს მიაწერს. თავად მეფე ფილიპემ საიდან აიღო ეს გამონათქვამი – პირადად მისი დაკვირვების შედეგია, თუ სხვისგან ნასესხები აზრი, – უცნობია.

ამის გარკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც ჩემთვის ცნობილ უფრო ადრეული პერიოდის ისტორიულ წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. თუმცა, რაც მთავარია, ეს საკმარისია კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვისთვის. რადგან ეს გამონათქვამი იმპერიის მართვის საქმეში დიდ სიბრძნეს შეიცავდა, რომლითაც იმპერატორთათვის შესაძლებელი ხდებოდა სხვადასხვა ხალხის, ერების მართვა ერთ სახელმწიფო სისტემაში და რადგანაც ყოველი სიბრძნის საფუძველი უპირველესად უფლის რწმენაა, ამიტომ გავიხსენე და მივმართე ბიბლიას, ყურანს, სადაც „დაყავი და მართე“ პრინციპი ღმერთმა ჯერ კიდევ იმპერიების წარმოშობამდე გამოიყენა ამპარტავანი და ურჩი კაცობრიობის დასასჯელად, ასევე ადამიანთა მოწესრიგებულად სამართავად და საკეთილდღეოდ... უფლისმიერი თავდაპირველი ფორმა „დაყავი და მართე“ შემდეგ უკვე ადამიანთა მიერ გამოყენებულ იქნა იმპერიების სამართავად „დაყავი და იბატონეს“ ფორმით.

ამ მსჯელობის ჭეშმარიტებაში ყოველი განათლებული ადამიანი როგორც საღვთო წერილების, ასევე მეცნიერული ისტორიული წყაროების ყურადღებით გაცნობისას დარწმუნდება. ძველ წარსულში, ადამიანებმა ააშენეს ბაბილონის კოშკი, როგორც ცადაწვდენილი სიმბოლო მათი ძლიერებისა, და ამპარტავნებას მიეცნენ, რადგან თავი ყოვლისშემძლედ წარმოიდგინეს. ღმერთმა დაუშალა მათ კოშკი, ადამიანებს კი სალაპარაკო ენა აურია და ისინი დედამიწის სხვადასხვა მხარეს გაფანტა.

მაშინ კი თქვა უფალმა: **„აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას; რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან დაუბრკოლებრივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ. ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს. იქიდან უფალმა ისინი მთელს დედამიწის ზურგზე გაფანტა“[1].**

ამას მოგვითხრობენ საღვთო წერილები, ამასვე ადასტურებს თანამედროვე მეცნიერთა კვლევები, როგორიცაა: **დევიდ როლი** და სხვები...

ადამიანის განვითარების ისტორიას (ძველი აღმოსავლეთის ისტორია) თუ მეცნიერული თვალსაზრისით ყურადღებას მივაქცევთ, იქ

---

1 ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989, გვ. 20, თავი XI.

კარგად ჩანს ეს პროცესი, რომელიც ძალიან ჰგავს ბიბლიაში და ყურანში ბაბილონთან დაკავშირებულ ისტორიას – **თუ როგორ დაიწყო ჩასახვა და განვითარება პირველმა ცივილიზაციებმა ძველ აღმოსავლეთში და შემდეგ მთელს პლანეტაზე; როგორ იწყეს ჩამოყალიბება პირველმა სახელმწიფოებმა ძველ ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ირანის ტერიტორიაზე, ამიერკავკასიაში, ინდოეთში, ჩინეთსა და სხვაგან სახელმწიფოებისთვის აუცილებელი ნიშნების მიხედვით, თუ როგორ ითვისებდნენ ერთი ენითა და ადათ-წესებით გაერთიანებული ნათესაური ტომები ამა თუ იმ ტერიტორიებს, სადაც იქმნებოდა სახელმწიფოს ჩანასახი.**

როგორც საღვთო წერილებიდან, ასევე ისტორიული წყაროებიდან, ჩვენი დღევანდელი თანამედროვე ცხოვრებიდან კარგად ჩანს, რომ კაცობრიობა დედამიწაზე დაყოფილია ერებად ენის, ტერიტორიისა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რელიგიური ნიშნების მიხედვით.

სწორედ ერებსა და სახელმწიფოებში არსებულმა რელიგიებმა ერთ ძირითად პრინციპზე **„რაც არ გინდა შენთვის, ნუ უსურვებ სხვას“** დაყრდნობით, წარმოქმნა თვითმყოფადი კულტურა და ტრადიციები.

ამ მოსაზრებას, რომ რელიგიათა დაყოფა

თვით ღმერთის ნებით მოხდა, კერძოდ, ბაბილონის გოდოლის ისტორიის შემდეგ, როდესაც უფალმა „დაყავი და მართე“-ს პრინციპით, აურია ადამიანებს ენა, გაფანტა ისინი მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს, დაჰყო ჯერ ენის, შემდგომ კი სარწმუნოების მიხედვით, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდნენ ტრადიციულ და მსოფლიო რელიგიებად – ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა რელიგიის საერთო კეთილშობილური არსი და მათთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენა, კერძოდ:

უძველესი დროიდან სხვადასხვა ერებსა თუ ხალხში, ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ერთნაირ მარადიულ სულიერ ღირებულებებს ჩაეყარა საფუძველი. ესენია: ღვთისმოშიშობა, სიყვარული, სირცხვილის გრძნობა, დიდსულოვნება, ერთგულება, ღირსება, მოწყალება, თავდადება და სხვ. სწორედ ამ საერთო მარადიული ღირებულებების საფუძველზე შეიქმნა თითოეული ტრადიციული და მსოფლიო რელიგია.

არ იმრუშო – ვერასოდეს იქნება ჩანაცვლებული და გამართლებული – იმრუშეთი, **დიდსულოვნება** – სიძუნწით, **ერთგულება** – ღალატით, **ვაჟკაცობა** – ლაჩრობით, **სირცხვილის გრძნობა** – ურცხვობით, **სიყვარული** – სიძულ-

ვილით, **ღვთისმოშიშობა** – სატანისადმი ერთგულებით, **ადამიანებში ურთიერთპატივისცემა** – სიძულვილითა და უხეშობით... იმიტომ, რომ ის თვით ღმერთის ნებითა და სიბრძნით არის განპირობებული. ეს ღირებულებები მარადიულია და ყველა რელიგიისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომაა, რომ ყველა ტრადიციული რელიგია ერთი ღმერთის იდეას, უმაღლეს გონს ემსახურება, ქადაგებს კაცთმოყვარეობას, სიკეთეს, ოღონდ ყველას თავისი დოგმები და რიტუალები გააჩნია, რომლებიც სხვა რელიგიებისგან განასხვავებს მას, ისევე, როგორც ერებს გამოარჩევს ენა და ფოლკლორი, სახელმწიფოებს კი – დროშა, ღერბი, ჰიმნი.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო ტრადიციული რელიგიები არასდროს გაერთიანდებიან ერთ მსოფლიო რელიგიად. სანამ არსებობს კაცობრიობა და ადამიანებში ღვთის რწმენა, ასე არს თვით ღმერთის ნება, რასაც წარმოებული გამოკვლევა და მისგან მომდინარე საფუძვლიანი დასკვნები ადასტურებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებობს **დიდი პრობლემა, რომ მილიარდობით ადამიანი ფსიქოლოგიურად არ არის მზად სწორად აღიქვას რელიგიური კონფლიქტებისაგან მოსალოდნელი საშიშროება. ამის მთავარი მიზეზი კი**

არა მხოლოდ სხვისი, არამედ, უპირველესად, საკუთარი რელიგიის უცოდინრობაა. სწორედ უცოდინრობა ბადებს ფანატიზმს. უცოდინარობის მიზეზით ექცევა ადამიანი სხვადასხვა ადამიანის ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის გავლენის ქვეშ.

აქვე მოვიყვან ამ მოსაზრების დამადასტურებელ რამდენიმე მაგალითს:

ერთხელ, ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის მისიონერი ქალბატონი სპეციალურად მეწვია, რათა ჩემთვის მათი მოძღვრება გაეცნო. საუბრიდან გამომდინარე, გავიგე, რომ მას საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდა სხვა აღმსარებლობებზე, რომლის „კონკურენციას“ ცდილობდა. თვითონ სხვების მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი. ბიბლიას ხსნიდა ისე, როგორც ამას მისი რელიგიური ინტერესები მოითხოვდა და არა ისე, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანულ რელიგიას შეეფერებოდა.

ასეთი შეხედულებებისგან რომ გამომეფხიზლებინა, ამისკენ რამდენიმეჯერ მივუთითე, დავიწყე მსჯელობა, მაგალითების მოყვანა და შედარებები სხვადასხვა რელიგიის საღმრთო წერილებიდან. ის ყურანით დაინტერესდა. მე ავუხსენი, რომ ყურანში იესო ქრისტე დიდი პატივისცემით მრავალჯერ მოიხსენიება, მოგვითხრობს მის ღვთიურ ძალასა

და სასწაულმოქმედებებზე. მაგალითად, იესო ქრისტემ, ჯერ კიდევ ახლად შობილმა, ლოცვები როგორ წარმოთქვა. ამის გაგონებაზე გაკვირვებულმა თანამოსაუბრემ, წამოიძახა: – როგორ შეიძლება ამის დაჯერება, რომ ახლადშობილი ბავშვი ლაპარაკობდესო?

მაშინ ვკითხე მას:

– თქვენ გჯერათ, რომ იესო ქრისტე, როდესაც ჯვარცმის შემდეგ დაკრძალეს, სამი დღის შემდეგ, აღსდგა და ცად ამაღლდა?

– ჭეშმარიტად აღსდგა! – წამოიძახა მან.

– გასაკვირია თქვენი საქმე, – ვეუბნები მას, – თქვენ გჯერათ, რომ გარდაცვლილი სამი დღის შემდეგ აღსდგა და ცად ამაღლდა, ხოლო ცოცხალი რომ ლაპარაკობდა, ის არ გჯერათ!

მისიონერი ქალბატონი გაკვირვებული და დაბნეული უხერხულად დუმდა. იგრძნო, რომ ჩემთან მოსვლით, არათუ მისია ვერ შეასრულა, არამედ ეჭვიც კი შეეპარა თავის საქმიანობაში. შევატყვე, ასეთი საუბრების შედეგად შესაძლებელია აზრი შეეცვალა და ჭეშმარიტების ძიებაში რომელიმე რელიგიის მიმდევარი გამხდარიყო.

ამ ყველაფრის მიზეზი კი თვით მორწმუნე ადამიანის როგორც თავისი, ასევე სხვა რელიგიის უცოდინრობაა, რის გამოც, ჭეშმარიტი სარწმუნოების ცოდნის მაძიებელი გაურკვე-

ველ ადამიანთა ჯგუფის აგიტაციის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

ქალბატონს გულწრფელად ვურჩიე, დაბრუნებოდა თავისი ოჯახის ტრადიციულ – ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მოგვიანებით გავიგე, რომ ქალბატონი რჩევას გაჰყოლია. შემდგომში ის ჩვენს შეხვედრას დიდი კმაყოფილებით იხსენებდა...

მოვიყვან სხვა მაგალითს, რომლის მსგავსიც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთხელ მინახავს. საბჭოთა კავშირის დაშლით, როდესაც კომუნისტური ათეისტური იდეოლოგიის ეპოქაც დასრულდა, ადამიანები, ბუნებრივი მოწოდებით ღვთისმოშიშნი, უცოდინარობის გამო, ხშირად არათუ შეცდომას ჩადიოდნენ, არამედ სასაცილო მდგომარეობაშიც კი ვარდებოდნენ.

ასეთი შემთხვევები, კვლევა-ძიების პროცესში არაერთხელ შემხვედრია როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსლიმანური რელიგიის მიმდევართა შორის.

ერთხელ ნაცნობი ახალგაზრდა შემხვდა, რომლის მშობლები მუსლიმანური რელიგიის მიმდევარნი იყვნენ, თავად ამ ახალგაზრდას კი უარი უთქვამს მუსლიმანობაზე და ქრისტიანად მონათლულა.

– ვიცი, მორწმუნე კაცი ხარ, ეს ძალიან კარ-

გი და მისასალმებელია. თუ წინააღმდეგი არ იქნები, რამდენიმე კითხვას დაგისვამ, ოღონდ წინასწარ შევთანხმდეთ, კითხვაზე მოკლედ მიპასუხე – ვთხოვე მას.

შევთანხმდით.

– შენ მიიღე ქრისტიანობა?

– დიახ.

– რადგან მიიღე ქრისტიანობა, ე.ი. უარყავი მუსლიმანობა, რომელიც შენი ოჯახის სარწმუნოება იყო.

– დიახ, ასე გამოდის.

– სანამ უარყოფდი მუსლიმანობას, წაიკითხე ყურანი? დაინტერესდი, რას ასწავლის ადამიანებს მუსლიმანთა საღვთო წიგნი, რას წარმოადგენს ისლამის რელიგია?

– არა, არ წამიკითხავს, – გულწრფელად მიპასუხა.

– მერე როგორ შეიძლება ასე? შენ არ გასინჯე ის ხილი, მწარე იყო თუ ტკბილი, და შეუფასებლად, ბრმად უარყავი.

ახალგაზრდა გაწითლდა, წასვლა დააპირა, მაგრამ ვთხოვე მოეცადა, კიდევ მქონდა ერთი კითხვა დარჩენილი.

– შენ მიიღე ქრისტიანობა, მაგრამ თუ წაიკითხე ბიბლია, ახალი აღთქმა, იცი რას გვასწავლის ქრისტიანული სარწმუნოების საღვთო წერილები?

– არა, არ წამიკითხავს, – ასევე გულწრფელად მიპასუხა.

– გასაკვირი საქციელია, უარყოფ იმას, რაც არ იცი და ღებულობ იმას, რაც ასევე არ იცი.

ჩემი თანამოსაუბრე უხერხულობისგან აღელვებული და აცრემლებული სასწრაფოდ გავარდა და თვალს მოეფარა.

აქვე აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის ეს თემა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. თუ ქართველი-მუსლიმი ქრისტიანად ინათლება, ამით ის მისთვის ახალ რელიგიას კი არ ღებულობს, არამედ თავის წინაპართა სარწმუნოებას უბრუნდება, რომელსაც ქართველი ერი ეკუთვნის. თუ ისლამს არ უარყოფს, ასეთ შემთხვევაში ის იმ აღმსარებლობის ერთგულია, რომელიც მას აჭარაში ოსმალთა სამსაუკუნოვანი გავლენის შედეგად მშობლებისგან, ბებია-ბაბუებისაგან, ანუ ოჯახით ერგო. ამდენად, მისი რწმენა პატივისცემას იმსახურებს.

ერთხელ, წინასწარ დანიშნულ დროზე, საუბროდ ვეწვიე ერთ-ერთი ეკლესიის მოძღვარს. ის ძალიან აგრესიულად იყო განწყობილი სხვა რელიგიების მიმართ და საუბრის დროს მითხრა:

– თქვენ იცით, რომ მუჰამედი ჯოჯოხეთში არის გამოხატული?

– ვინ დახატა? – ვეკითხები.

– მხატვარმა, ბუნებრივია, – მცირეოდენი ფიქრის შემდეგ მიპასუხა მოძღვარმა.

– მაგრამ მხატვარმა თუ მოინდომა, ხომ შეიძლება ნებისმიერი ვინმე, მათ შორის, მეც, თქვენც დაგხატოთ ჯოჯოხეთში იმიტომ, რომ ის ადამიანია, მხატვარია, მისი შემოქმედება კი მხოლოდ მისი წარმოდგენა და სურვილია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მოძღვარი ერთხანს უხერხულად, ჩაფიქრებული იჯდა, შემდეგ კი მოძღვრისთვის შესაფერისი დინჯი და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. უსიტყვოდ გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე ძვირფასი საეკლესიო წიგნი და ხატი მოიტანა, დამლოცა და სახალხოდ საჩუქრად გადმომცა. ეს წიგნები ჩემთვის შემდეგ ძალიან ძვირფასი აღმოჩნდა, მე და მოძღვარი კი დავმეგობრდით.

* * *

ქალაქ უფაში ყოფნისას გავიცანი მორწმუნე მუსლიმანი, რომელიც ვაჰაბისტური იდეებით იყო შეპყრობილი.

როგორც საუბრიდან გაირკვა, მას სხვა რელიგიის გაგონება არ სურდა და ყველას მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი.

მიუხედავად ამისა, მასში შეინიშნებოდა რა-

ინდული თვისებები – თავმდაბლობა და მოსმენის კულტურა.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როდესაც ის ამტკიცებდა: – მართალია, ქრისტიანობა უძველესია, მაგრამ დედამიწაზე ყურანის მოსვლით, ბიბლიამ ძალა დაკარგაო, მაშინ მას დავუსვი კითხვა:

– როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია რომ ღმერთის ნების გარეშე ხუთ მილიარდზე მეტ სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანს, ისლამის მიმდევრების გარდა, – იუდეველებს, ბუდისტებს, ქრისტიანებს გააჩნდეს თავიანთი საღვთო წერილები, რაშიც ბოროტების აღსაგველად და კეთილი საქმეებისკენ მოუწოდებენ? ნუთუ ეს შემთხვევითია?! მაშინ როცა, როგორც თქვენ ზემოთ ახსენეთ ღმერთის ნების გარეშე თმაც არ ჩამოვარდება თავიდან, ჩიტიც ვერ იფრენს ცაში.

მეორე დღეს, მეჩეთში მისულს, მუსლიმი ვაჰაბისტი შემხვდა და შეწუხებულმა მითხრა:

– მთელი ღამე არ დამიძინია, მოსვენება დავკარგე, სულ შენს კითხვაზე ვფიქრობდი. ეს მართლაც დიდი მოვლენაა... როდესაც უფლის ნების გარეშე თმაც არ ჩამოვარდება თავიდან, ჩიტიც ვერ იფრენს ცაში, მითუმეტეს შეუძლებელია მისი ნების გარეშე მილიარდობით ადამიანის არსებობა. გამოდის, რომ ყუ-

რანის მოსვლით დედამიწაზე ბიბლიას ძალა არ დაუკარგავს, რომ ალაჰის ნებითაა ისლამის და ყველა სხვა მსოფლიო რელიგიის არსებობა? – ჩაფიქრებულმა ნაღვლიანად წარმოთქვა მან.

– დიახ, ასე გამოდის. როგორც თავად ახსენე, ამასვე ამბობს ქრისტიანთა საღვთო წერილი: „არც საკუთარი თავი დაიფიცო, რადგან ერთი ღერი თმის გათეთრება ან გაშავება არ შეგიძლია“[1].

თქვენს თავზე კი თმებიც დათვლილია[2].

ნებისმიერი, ტრადიციული რელიგიის წარმომადგენელი თავისებურად ლოცულობს, თავისი წესი და რიტუალი გააჩნია. თავისი საღვთო წერილების მიხედვით ეხმარება ავადმყოფს, შეიხიზნებს დევნილს, დააპურებს მგზავრს, შეიფარებს ობოლს, დააფასებს მოხუცს, ისევე, როგორც ამას აკეთებს ჭეშმარიტი მუსლიმანი.

ასეთი პასუხი იყო გამარჯვება, რამაც კიდევ უფრო დამარწმუნა აღნიშნული თემის სრულყოფის აუცილებლობაში.

ბატონმა რავილიმ (როგორც ის გამეცნო) კვლავ მოისურვა ჩემთან შეხვედრა.

---

1 ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი. 1992, გვ.9, მათე, თავი 5, 36.

2 იქვე, გვ. 142. ლუკა, თავი 12, 7.

მეორე დღეს გაღიმებული შემეგება და მოკრძალებით მითხრა:

– მე არც კი ვიცი, მუსლიმანი ხართ თუ ქრისტიანი, მაგრამ მინდა ეს საჩუქარი გადმოგცეთ – და უძვირფასეს ყდაში ჩასმული რუსულ ენაზე თარგმნილი ყურანი გადმომცა.

გავიხარე ასეთი ძვირფასი საჩუქრით და დიდი მადლობა გადავუხადე.

პირადად მე, რელიგიის მნიშვნელობისა და მისი ძირითადი პრინციპის სწორად გაგებაში დიდად დამეხმარა ერთი შემთხვევა ჩემი ცხოვრებიდან, რომელიც, ვფიქრობ, სხვებსაც კეთილ სამსახურს გაუწევს:

1990 წელს, კისლოვოდსკის ერთ-ერთ სანატორიუმში ვისვენებდი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც იმსხვრეოდა კომუნისტური ათეისტური იდეოლოგია და ხალხში რწმენისადმი ინტერესი ჩნდებოდა. ამ პროცესს თან ახლდა დაბნეულობა, შიში და ა. შ. სანატორიუმში ისვენებდა ერთი პედაგოგი ქალბატონი, რომელიც თანამოსაუბრეებთან ამპარტავნული მედიდურობით ამტკიცებდა: – **რა საჭიროა რელიგია და ღმერთი, კომუნისტებმა რელიგიის გარეშეც წესიერად აღგვზარდეს და ჩვენც ასევე წესიერად აღვზრდით ჩვენს მომავალ თაობებსო.** ამ ქალბატონის სასტუმრო ნომერი ჩემს მოპირდაპირედ მდებარეობდა. ჩვენს

სართულზე ხშირად იკრიბებოდნენ ახლად შეძენილი სანატორიუმელი ნაცნობ-მეგობრები, ვსაუბრობდით სხვადასხვა თემებზე, განსაკუთრებით მწვავე მსჯელობის საგანი კი რელიგიის თემა გახლდათ.

ერთხელაც ჩემმა მეზობელმა ისურვა ნამცხვრით გამმასპინძლებოდა. ნამცხვრები ჟურნალის მაგიდაზე ელაგა. შემთხვევით, ხელის მოულოდნელი გაკვრით ერთი ნაჭერი იატაკზე დავარდა. მართალია, ნამცხვარი სრულებით არ დაზიანებულა, არაფერი ემჩნეოდა, მაგრამ მე, რაკი ძირს დავარდნილი გახლდათ, ქაღალდის ხელსახოცი შემოვახვიე და იმ ნარჩენებისკენ წაღებას ვაპირებდი, რომლებიც დამლაგებელს გარეთ, სანაგვეზე გაჰქონდა ან ამ ნარჩენებით ძაღლებს ან ჩიტებს უმასპინძლდებოდა.

ქალბატონმა უცებ მითხრა:

– არ გადააგდო, არ დაზიანებულა, მაგიდაზე დატოვე და დამლაგებელი შეჭამს. ბრალია, კარგი ნამცხვარია.

– მაშინ, – ვეუბნები ქალბატონს და თან ნამცხვარს ვუწვდი, – თქვენ მიირთმევთ?

გაუკვირდა ჩემი ასეთი პირდაპირი შეკითხვა და რასაც ველოდი, ის მიპასუხა:

– არა.

– რატომ? – ვეკითხები.

– ძირს ნაგდებია, – უხერხულად მიპასუხა.

– მერე, დამლაგებლისთვის შეიძლება?

– დამლაგებელს არ დაუნახავს, ნამცხვარი კი კარგ მდგომარეობაშია და უარს არ იტყვის, – იყო მისი პასუხი.

– მართალია, არ დაზიანებულა, სუფთაც არის, მაგრამ მაინც ძირსნაგდები ჰქვია და ამ-ის გამო მას არა მხოლოდ თავმოყვარე ადამი-ანი, არამედ ჰიგიენის თვალსაზრისითაც არც მე, არც თქვენ და არც სხვა, ვინც დაინახა, არ შეჭამს. დამლაგებლისთვის ან სხვისთვის, ვი-საც არ დაუნახავს, შეიძლება მისი მიღება?! ღმერთმა ხომ დაინახა, რომ ჩვენ დავინახეთ, ამიტომ რაც არ გვინდა ჩვენთვის, ის ხომ არ უნდა ვუსურვოთ სხვას, ამ შემთხვევაში დამ-ლაგებელს?!

რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან უხერხული და არაჯენტლმენური იყო ასეთი საქციელი ქალბატონის მიმართ, მაგრამ რაკი საკითხი ღმერთის რწმენას ეხებოდა, თავს უფლება მი-ვეცი მას რელიგიის მნიშვნელობის გარკვევა-ში, რწმენასა და ურწმუნოებას შორის განსხვა-ვების პოვნაში დავხმარებოდი – ის ხომ უღ-მერთობას ქადაგებდა და თანაც ახალგაზრდა თაობები ებარა აღსაზრდელად...

იმ საღამოს ქალბატონი აღარ გამოჩენილა. მეორე დღეს ვნახეთ. ძალიან შეცვლილი გვეჩ-

ვენა. რელიგიის საწინააღმდეგო საუბრებით აღარ გამოირჩეოდა, პირიქით, უფრო ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა. ჩვენს მეგობრებს ვერ გაეგოთ ასეთი მოულოდნელი ცვლილების მიზეზი. მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ შევძელი მისი შეხედულებების შეცვლა. მაშინ რელიგიის თავადაც დიდი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ვიცოდი მთავარი – ის დიდ სიბრძნესა და სიკეთეს შეიცავდა, ამიტომაც იყო ასე საინტერესო.

* * *

ტოლერანტობა, რომელიც სხვათა მიმართ მოთმინებას ნიშნავს, თავისთავად რაღაც საზღვარს მოიცავს, რომლის იქითაც მთავრდება მოთმინება, რადგანაც დაძაბული მდგომარეობა შეუძლებელია მუდმივად გრძელდებოდეს, – ის თანდათან უკმაყოფილებაში და აგრესიაში გადადის, რასაც, სამწუხაროდ, დღევანდელ ყოვლისმომცველ გლობალიზაციის პირობებში დასასრული არ უჩანს.

აზროვნების ეკოლოგიის გატარების მცდელობა ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვებული ავხორცობისგან ადამიანთა გონების განწმენდას განაპირობებს. ამ შემთხვევაში კი რელიგიათა შორის ერთის მიერ მეორის არაღიარების, გაუტანლობის, გარკვეული ჯგუ-

ფების მიერ ამ თემის სპეკულირებით იქნა მიყენებული. ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანი, რომელიც მიეკუთვნება ერთ რომელიმე ერს, რელიგიურ მიმდევრობას, ამიერიდან, ღვთის ნებად აღიარებს სხვა ტრადიციულ რელიგიათა ჭეშმარიტებას იმ ხალხისთვის, რომელიც მათ დასაბამიდან წილად ერგო და საუკუნეების მანძილზე ემსახურება.

ასეთი საფუძვლიანი, სამართლიანი დამოკიდებულება საშუალებას იძლევა ამა თუ იმ რელიგიის წარმომადგენელმა არათუ მოთმინებით, არამედ ინტერესით აღიქვას სხვისი რელიგიური მიმდევრობა, ისევე როგორც მათი ენა, ფოლკლორი, ადათ-წესები – საერთო საკაცობრიო რელიგიათა კულტურის უმშვენიერესი მოზაიკა.

ტოლერანტობა შეიძლება ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგატანის, დიდსულოვნებისა და თანამშრობლობის ტოლფარდი მცნება გახდეს. ეს კი იმის მთავარი გარანტია, რომ კაცობრიობამ თავი დააღწიოს რელიგიურ ნიადაგზე არსებულ დაპირისპირებებს, კონფლიქტებსა და ტერორს...

როდესაც ახლად შექმნილი ტერორისტული სახელმწიფო **„იგილი“** მსოფლიოს, მათ შორის საღად მოაზროვნე მუსულმანურ საზოგადოებას დაემუქრა, ტერორისტული აქტე-

ბით მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, თანამედროვე სამყაროს სიმშვიდე დაუკარგა, მაშინ ეგვიპტის პრეზიდენტი აბდულა ფატახ ას-სისი მუსლიმანი ხალხის წინაშე სიტყვით გამოვიდა და თავის გამოსვლაში რელიგიურ მსოფლმხედველობაში საჭირო ცვლილებების გატარების აუცილებლობაზე ისაუბრა. პრეზიდენტის ეს ინიციატივა, ჭეშმარიტად ბრძენი ლიდერის მიერ გაკეთებული ნაბიჯია, რომელმაც, ვფიქრობ, ბევრი ჩააფიქრა. მაგრამ სხვა რა ახალი ცვლილება შეიძლება შესთავაზო რელიგიურ მსოფლმხედველობაში, რაშიც შეიძლება დაარწმუნო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მატარებელი ადამიანები?!

ერთადერთი ახალი აქ, გამონათქვამის მიხედვით, „კარგად დავიწყებული ძველია“, რომელიც არასოდეს გახმიანებულა, არასოდეს თქმულა, როგორც ჩანს, თავის დროს ელოდა. ეს არის წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი აზრი: **როდესაც დედამიწაზე კაცობრიობის ენისა და რელიგიების მიხედვით, ცალკეულ ერებად დაყოფა მოხდა, მაშინ ჯერ კიდევ ტრადიციულ, მსოფლიო რელიგიებად მისი წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა.**

ბუნებაში ხომ ყველაფერი მკაცრად განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება, აქედან გამომდინარე, იუდაიზმის, ბუდიზმის, ქრისტიან-

ობის, ისლამის ჩამოყალიბებას და განვითარებას გარკვეული დრო ესაჭიროებოდა.

ისტორიულ მეცნიერებაში კი, როდესაც ახალი სახელმწიფოების წარმოშობაზეა ლაპარაკი, იქ ზემოთ ხსენებული პროცესი ნათლად ჩანს, ოღონდ დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა.

სწორედ აქ შეიძლება მოვიყვანოთ გამოჩენილი მწერლისა და გამომძიებლის **არტურ კონან დოილის** ცნობილი პერსონაჟის **შერლოკ ჰოლმსის** აზრი: **„ჩვენ ყველა ერთნაირად ვხედავთ, მაგრამ სხვადასხვანაირად ვამჩნევთ“.**

დარწმუნებული ვარ, ეგვიპტის პრეზიდენტის ინიციატივა, – „**ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, საჭიროა ცვლილებები რელიგიურ მსოფლმხედველობაში, რათა დამკვიდრდეს მშვიდობა და სოლიდარობა“, – სწორედ რომ ის სიახლეა, რომელსაც მრავალწლიანი კვლევა-ძიების შემდეგ ვთავაზობ ფართო საზოგადოებას განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა.**

იუნესკოს გენერალური კონფერენციის (1995 წლის 16 ნოემბერი) მიერ მიღებულ რეზოლუციაში მითითებულია არსებული ურთულესი პრობლემების გადაწყვეტის, კერძოდ, რელიგიური და ნაციონალური ტოლერანტობის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელი გასატარებელი ღონისძიებები.

ის ითვალისწინებს მეცნიერული კვლევების ჩატარებას, საჭირო კონტაქტების დამყარებას საერთაშორისო საზოგადოების კოორდინირებული საქმიანობისთვის. სოციალურ მეცნიერებათა მხრივ მდგომარეობის ღრმად გაანალიზებით, გამოვლენილ უნდა იქნას ძირეული მიზეზები არსებული პრობლემებისა და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად[1].

თუ ამ ნაშრომს წილად ხვდა პატივი – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობა გაეცნოს, ის ბრძენი ადამიანები, ვინც ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ზრუნვით არიან დაკავებულნი, დარწმუნებული ვარ, ნაშრომს სწორ შეფასებას მისცემენ და შესაბამის ფუნქციას დააკისრებენ.

ჩემს მიერ წარმოდგენილ აზრს, რომლის მიხედვითაც კაცობრიობა დედამიწაზე თვით უფლის ნებითაა დაყოფილი არა მხოლოდ ენის, არამედ რელიგიების მიხედვითაც, ეს სიმართლე საუკუნეების მანძილზე რომ შეუმჩნეველი რჩებოდა, ამ აზრის მართებულობაზე და, საერთოდ, სიმართლის გამაერთიანებელ ძალაზე

1 Декларация принципов терпимости. Принята резолюцией 5.61 Генеральной конференции ЮНЕСКО от 16 ноября 1995 года.

მეტყველებს ბრძენმთავრად აღიარებული ჩინელი ფილოსოფოსი **კონფუციუსი** (551-479 ძვ.წ.): **„სიმართლე დასაწყისი და დასასრულია ყოველი არსისა. სიმართლე რომ არ ყოფილიყო, არაფერი არ იქნებოდა. მან შექმნა ყველაფერი, იმიტომ, რომ ისაა სიბრძნე, ბუნებრივი ქველმოქმედება, გარეგანის და შინაგანის შემაერთებელი, თუმცა ბევრნი სიმართლეს უყურადღებოდ ექცევიან, მაგრამ ის არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას.**

ვინც სიმართლის შესწავლას შეუდგება, მხოლოდ ის გაიგებს, რამდენად შორს ვყოფილვართ სიმართლისგან“[1].

დრო 25 საუკუნის შემდეგაც კი ადასტურებს კონფუციუსის სიბრძნის ჭეშმარიტებას. მისგან დამოუკიდებლად, მისი თანამედროვე ევროპელი ფილოსოფოსი **დემოკრიტე** ამის შესახებ (დაახ. 460-370 ძვ.წ.) წერდა: **„ბრძენი – ყველა არსებული საგნის საზომია: გრძნობით – გრძნობიერი, გონებით – გონიერი სამყაროისა“.**

როგორც ვხედავთ, ბრძენთმთავარი **კონფუციუსი** სიმართლის პოვნას ბუნებრივ ქველმოქმედებად აფასებს, რომელსაც გარეგანი და შინაგანი გამაერთიანებელი ძალა აქვს.

---

1 აკაკი გელოვანი. სიბრძნის სიმფონია. კონფუციუსი, თბილისი, 1989, გვ. 523.

ვიმეორებ, რომ ნაშრომში წარმოდგენილი სიმართლის, სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა მიერ სწორად აღქმა, კერძოდ: დედამიწაზე ადამიანთა დაყოფა უფლის ნებით მოხდა როგორც ენის, ისე რელიგიათა მიხედვით, კაცობრიობის მოწესრიგებულად არსებობის „დაყავი და მართე“ პრინციპიდან გამომდინარე, რომ თავის ადგილზე, თავის ხალხში ყველა რელიგია: იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი არის ჭეშმარიტი, რომელთაც ერთი საერთო პრინციპი და მიზანი გააჩნიათ. ამ სიმართლის აღიარება, საბოლოო წერტილს დაუსვამს რელიგიებს შორის ერთის მიერ მეორის არაღიარების პრინციპს, რომელიც დაპირისპირების მთავარ საბაბს წარმოადგენს. სწორედ ამ სიმართლის აღიარება იქნება ის ბუნებრივი ქველმოქმედება და გამაერთიანებელი ძალა მშვიდობიანი თანაარსებობისთვის, რომელზედაც ბრძენი კონფუციუსი მიუთითებს, ეს იქნება იმ სიახლის მოლოდინი, რომელზედაც ეგვიპტის პრეზიდენტმა აბდულა ფატახ ას-სისიმ განაცხადა.

ამ ბუნებრივი ქველმოქმედების მიღწევა კი მხოლოდ და მხოლოდ **აზროვნების განწმენდის** გზითაა შესაძლებელი.

დასასრულს, ტოლერანტობის ყველაზე შთამბეჭდავი ორი მაგალითით მინდა მი-

ვიპყრო მკითხველის ყურადღება:

1990-იანი წლების დასაწყისი იყო. ბათუმიდან თბილისში მივდიოდი. ავტობუსი ტექნიკური მიზეზების გამო დაბა სურამში გაჩერდა. მძღოლმა გვაცნობა, რომ შესვენებისთვის მხოლოდ 20 წუთი გვქონდა.

ჩემს წინ სავარძელში თეთრწვერა, დარბაისელი მოხუცი იჯდა. როგორც გაირკვა, ის თურქი ეროვნების ღვთისმსახური, მუსლიმანი იყო. ჩვენი გაჩერება ლოცვის დროს დაემთხვა. მოხუცმა გადაწყვიტა ესარგებლა შესვენებით და იქვე ეზოში შევიდა, მივიდა ჭასთან, კოსტუმი გაიხადა, ძირში, მინდორზე დააფინა და ვედროთი წყლის ამოღებას შეუდგა.

ამ დროს, ერთსართულიანი სახლის აივანზე მასპინძელი, ულამაზესი გოგონა იდგა და გაკვირვებული, ინტერესით აკვირდებოდა სტუმრის უცნაურ მოქმედებას. როდესაც დარწმუნდა, რომ მოხუცი ღვთისმოსავი იყო და ლოცვას აპირებდა, უცებ შევარდა სახლში, დოქი და ლოგინზე გადასაფარებელი გამოიტანა, მივარდა ბაბუასთან, რადგან უცხოელის ენა არ იცოდა, უმანკო ღიმილიანი სახით ანიშნა შეჩერებულიყო, აიღო სტუმრის კოსტუმი, დაფერთხა მტვრისგან, მიტანილი გადასაფარებელი დაუფინა და ანიშნა, წყალს დაგისხამო.

მოხუცი გაბრწყინებული სახით დაემორ-

ჩილა, წყლით განიწმინდა და ლოცვის რიტუალს შეუდგა. გოგონამ კოსტუმი ხელში დაიჭირა, გვერდზე გადგა, თვალს მოეფარა, რათა მლოცველისთვის ხელი არ შეეშალა.

უცხო სტუმარმა ლოცვა დაამთავრა, შემდეგ სახლისკენ შემობრუნდა, ხელები ცისკენ აღაპყრო, გოგონას თვალებით ეძებდა და ღვთის წინაშე აშკარად მისთვის ლოცულობდა ამ დიდი ყურადღებისა და სითბოსთვის.

გოგონამ მოხუცს კოსტუმი გადასცა და სახლში სირბილით შევარდა...

ამ შემთხვევამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მას შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა და ის გოგონა ხშირად გამხსენებია, დარწმუნებული ვარ, იმ მოხუცის ლოცვა-კურთხევით ძვირფასი ოჯახი აქვს და ბედნიერად ცხოვრობს...

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, თუ როგორი წმინდა შეიძლება იყოს ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელ ჭეშმარიტ მორწმუნეებს შორის:

აჭარაში, განსაკუთრებით მორწმუნე მუსლიმან მრევლში, კარგადაა ცნობილი **მემედ ეფენდი** ბოლქვაძის, როგორც ჭეშმარიტი ღვთისმოსავი ბრძენკაცის სახელი. მან უმაღლესი ფილოსოფიური და სასულიერო განათლება მეფის რუსეთის დროს 1912-1916 წლებ-

ში მეზობელ ოსმალეთში მიიღო.

მისმა შვილმა, **სერგო ბოლქვაძემ,** საინტერესო ამბავი მიამბო. ის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახლდათ. ერთხელ მამა ეწვია სტუმრად. თავისუფალ დროს, როდესაც რუსთაველის ქუჩაზე სეირნობდნენ, მამას უთქვამს:

– შვილო, ლოცვის დრო მოვიდა და სადმე უნდა შევჩერდეთო.

ყმაწვილი შეწუხებულა, – აქ ქუჩაში სადმე არ გაშალოს თავისი კოსტიუმი და არ ილოცოსო და მამისთვის ხელსაყრელი ადგილის პოვნამდე მოთმინება უთხოვია. ლოცვის დრო კი არ ითმენდა. მაშინ მემედ ეფენდის ქაშუეთის ეკლესიისკენ გაუხედავს და გახარებულს უთქვამს:

– აგერ, შვილო, ეკლესია, ამაზე წმინდა ადგილი აქ სად უნდა ვნახო, შევალ, სადმე კუთხეში გავჩერდები და ჩემთვის, შეუმჩნევლად, ვილოცებ, ამით ვის რა ზიანს მივაყენებო...

სერგო იძულებით დათანხმებულა.

მართლაც, მემედ ბოლქვაძე ეკლესიის ეზოში შესულა და იქვე, კუთხეში, თითქოსდა შეუმჩნევლად, ლოცვა დაუწყია.

ეკლესიის ერთ-ერთ მსახურს, დაუნახავს რა, რომ ვიღაც არაქრისტიანულად ლოცულობდა, გაკვირვებული გავარდნილა მოძღ-

ვართან. სერგო დაძაბულა, მამის დასაცავად მომზადებულა. ამ დროს საკურთხევლიდან გამობრძანებულა ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარი, ეკლესიის მსახურთათვის ჩუმად სიმშვიდისკენ მიუთითებია, თვითონ კი იქვე შორიახლოს შეუმჩნევლად დამჯდარა, რათა მოხუცისთვის ლოცვაში ხელი არავის შეეშალა და დალოდებია.

როდესაც მემედ ეფენდის ლოცვა დაუსრულებია, მოძღვარი მასთან მიბრძანებულა და გულთბილად მისალმებია. მემედ ეფენდის ბოდიშის მოხდა დაუწყია, მაგრამ ეკლესიის მოძღვარს ამის საშუალება არ მიუცია, პირიქით, მასთან სასაუბროდ მიუპატიჟებია.

ორ – ქრისტიან და მუსლიმან მოძღვარს შორის დაწყებული გულთბილი, სიბრძნის მეტყველებით სავსე საუბარი შემდეგ სადილზე გაგრძელებულა.

ეკლესიის მოძღვარს იმ ღამით მასთან სტუმრად დარჩენა შეუთავაზებია, მაგრამ მემედ ეფენდის ბათუმში დაბრუნება ჰქონია გადაწყვეტილი. გამომშვიდობებისას, გულუხვი მასპინძელი, თავის მხრივ, აჭარაში მოუწვევია...

დასკვნა:

მარადიული სულიერი ღირებულებების ხელყოფით სამყაროში წარმოშობილმა ზნეობრივმა დეფიციტმა, კაცობრიობის აზროვნების ეკოლოგიურად დაბინძურებამ მთელი რიგი ურთულესი პრობლემის წინაშე დაგვაყენა, რომლებიც კაცობრიობას სერიოზული საფრთხით ემუქრება.

მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური პრობლემების, მომხვეჭელობის, გულგრილობის სხვა ადამიანთა ბედის მიმართ, ტერორისა და გარყვნილების საფუძველზე თანმდევი საფრთხეების გამომწვევი მიზეზები უპირველესად, ადამიანთა უზნეობაში უნდა ვეძიოთ, გამოსავალი გზები კი – აზროვნების ეკოლოგიურად გასუფთავებაში!

რაც შეეხება რელიგიის თემას, როგორც საღვთო წერილების, ასევე მეცნიერული თვალსაზრისით, კაცობრიობა დედამიწაზე უფლის ნებით, ბუნების კანონზომიერებით, მათი მოწესრიგებულად მართვის „დაყავი და მართე“ პრინციპიდან გამომდინარე, დაყოფილია როგორც ენის, ასევე მსოფლიო ტრადიციული რელიგიების მიხედვით, რომ თავის ადგილზე, თავის ხალხში ყველა რელიგია არის ჭეშმარიტი. ჩვენ იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის, ბუდიზმის სახით, მსოფლიოში საერ-

თო საკაცობრიო რელიგიათა უმშვენიერესი მოზაიკა გვაქვს. ყველა რელიგია უმაღლეს ჭეშმარიტებას – ერთი ღმერთის იდეას ემსახურება, ერთი პრინციპი გააჩნიათ, მათი მთავარი მიზანი კი ზნეობრივად სრულყოფილი, სულიერად მდიდარი ადამიანია.

ვფიქრობ, ამით საბოლოოდ ამოიხსნა რელიგიათა დაყოფის საიდუმლო, წერტილი დაესვა ტრადიციულ რელიგიათა ერთის მიერ მეორის არაღიარების პრინციპს, ასევე მსოფლიოს ერთ რომელიმე რელიგიად გაერთიანების იდეას, რაც საუკუნეების მანძილზე რელიგიათა შორის დაპირისპირების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

ამ აზრის, განათლების გზით საერთაშორისო საზოგადოების მიერ გათავისება, მეტადრე მომავალი თაობებისთვის, ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ აუცილებელი, ყველაზე საიმედო გზა, რომელიც სამარადჟამოდ შეგვაძლებინებს ტოლერანტობის საზღვრების მაქსიმალურად ზრდას და ტერორიზმის რისკების მინიმალურამდე დაყვანას!

* * *

„შორს იმიტომ ვიხედებოდი, რომ ბუმბერაზების მხრებზე ვიდექი“
ნიუტონი

თემები რომელზედაც გვქონდა მსჯელობები ურთულესი და ამოუწურავია. ვფიქრობ, ჩემი შეხედულებები მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად წარმოვადგინე ამა თუ იმ მნიშვნელოვან, ყველასათვის მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მომავალში საზოგადოებასთან ურთიერთთანამშრომლობით კიდევ უფრო დაიხვეწება. **„ვალის მოხდა ძნელია, მოუხდელობა კი უარესი“** – გვარიგებს წინაპართა სიბრძნე.

თუ როგორ მოვიხადე ჩემი ვალი, ამას პატივცემული მკითხველი განსჯის, მე კი დასასრულს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმ აზრს, რომელიც ვფიქრობ, არასდროს იქნება ზედმეტი და უსარგებლო.

თუ ჯერ კიდევ XII საუკუნეში **იოანე პეტრიწი** თანამემამულეებს მოუწოდებდა ფილოსოფიური სიბრძნით შეიარაღებულებს ებრძოლათ ურწმუნოების წინააღმდეგ ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად. დღეს კიდევ უფრო აუცილებელია მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობა, განურჩევლად აღმსარებლობისა და ეროვნებისა, ფილოსოფიურად, გონივრუ-

ლად მიუდგეს ამ საკითხს მთელი კაცობრიობ-
ის გადასარჩენად, ღირსეული მომავლისთვის,
რამეთუ ბოროტი ძალები ებრძვიან ადამიანში
ღმერთის რწმენას, ებრძვიან ზნეობას, სულიერ
სიმდიდრეს, ღირსებას, რადგან ღირსებადაკარ-
გული ადამიანი ადვილად ყიდის ყველას და ყვე-
ლაფერს!

**ყოვლისმომცველ გლობალიზაციის პირო-
ბებში მხოლოდ ზნეობით, ღვთისმოშიშობით,
განათლებით, სიმტკიცით, ურთიერთპატივის-
ცემით შევძლებთ შევინარჩუნოთ ჩვენი ადამი-
ანური, ღირსეული სახე და ისე წარვსდგეთ თა-
ნამედროვე გამოწვევების წინაშე. სწორედ ამის
შესახებ უთქვამს ბრძენს:**

**— „რა მშვენიერია ადამიანი, თუ ის ნამდვი-
ლად ადამიანია!“.**

ამონარიდები რეზენციებიდან და გამოსმაურებებიდან

ფილოსოფოს ნიაზ ბოლქვაძის ნაშრომზე „აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“.

სანამ უშუალოდ ნაშრომის რეცენზირებაზე გადავიდოდე, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ უაღრესად საინტერესო ფენომენზე, რომელიც „ნიაზ ბოლქვაძის“ სახელსა და გვარს ატარებს. ეს უდიდესი ენერგიის ახალგაზრდა კაცი ღმერთისგან დაჯილდოებულია იმ განსაკუთრებული ნიჭით, რომელსაც საკუთარი ქვეყნის გამორჩეული სიყვარული და მისდამი ერთგულება ჰქვია. ამ მხრივ იგი უშუალო გამგრძელებელია მემედ აბაშიძის და აჭარაში მცხოვრები სხვა გულმხურვალე ქართველი მამულიშვილების იმ სახელოვანი ტრადიციებისა, რომლებიც აჭარის დედასამშობლოსთან განუყრელობასა და ერთიანობის დაცვის სადარაჯოზე იდგნენ. საკმარისია ითქვას, რომ იგი არის ოსმალთა 300 წლიანი ბატონობისგან აჭარის განთავისუფლებისა და დედასაქართველოსთან დაბრუნების აღსანიშნავად აღსამართი ობელისკის /აჭარის გათავისუფლების ობელისკის/ იდეის ავტორი

და აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.

ახლა კი საკუთრივ რეცენზიაზე:

პროფ. **ნიაზ ბოლქვაძის** ნაშრომი **„აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“ იმის გარკვევას ისახავს მიზნად, თუ როგორ უნდა დაიხსნას თავი კაცობრიობამ მომავალი მოსალოდნელი კატასტროფისგან აზროვნების ეკოლოგიის გზით. რატომ არის ეს კატასტროფა მოსალოდნელი? რატომ აკეთებს ეს ფილოსოფიურად განსწავლული ნიჭიერი ადამიანი ასეთ წინასწარმეტყველურ დასკვნას? ან რა არის „აზროვნების ეკოლოგია?“.**

როგორც ჩანს, ამ ტერმინს პროფ. **ნიაზ ბოლქვაძისათვის** იგივე დატვირთვა აქვს, რაც ბუნების ხსნას ეკოლოგიური დისბალანსისგან, ანუ ბუნების ხსნას დაბიძნურება-გაჭუჭყიანებისგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, დღევანდელი საკაცობრიო აზროვნება ისევეა შერყვნილ-შებღალული, როგორც ბუნებაა დაბინძურებული ეკოლოგიურად. და როგორც ბუნებას უნდა შველა, ისევე უნდა დახმარება შერყვნილ და დაბინძურებულ აზროვნებას. ასე მაგალითად, **თუ ადამიანი შეეჩვევა შურს, ბოროტებას, ანგარებას, ამპარტავნობას, უზნეობას, უპატიოსნებას, უსინდისობასა და ნაძირლობას, მისი ცნობიერება-აზროვნებაც ისევე წაიბილწება და**

შეირყვნება, როგორადაც ბუნება ეკოლოგიური კატასტროფის შემთხვევაში.

ნიაზ ბოლქვაძის აზრით, აზროვნების დაბინძურება, პირველ რიგში, რელიგიებთან მიმართებაში იჩენს თავს. ცნობილია, რომ სამყაროში ბევრი სხვადასხვა რელიგია არსებობს. თითოეულ ამ რელიგიას თავისი მილიონობით მიმდევარი ჰყავს. ეს მილიონობით ადამიანი თავდაპირველად არ უპირისპირდებოდა სხვა რელიგიის მიმდევართ. სხვადასხვა რელიგიები ისევე ბუნებრივად არსებობდნენ, როგორც არსებობდა სხვადასხვა ენა, კულტურა, ტრადიცია, ცხოვრების წესი. მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანებს (მათ შორის, სასულიერო პირებსაც) არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გაუჩნდათ ამა თუ იმ რელიგიის თუ კონფესიის მიმართ. ამგვარ დამოკიდებულებას, სამწუხაროდ, ხელს უწყობდნენ პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები და არა მარტო რომელიმე ერთს ანიჭებდნენ უპირატესობას მეორესთან შედარებით, არამედ მეორე რელიგიისადმი ზიზღს, მტრობას, შეურიგებლობას იჩენდნენ...

ეს მაშინ, როცა შესაძლებელი იყო, რელიგიებში ის კი არ გვეძებნა, რაც დააშორებდა და დააპირისპირებდა მათ ერთმანეთთან, არამედ, ის, რაც დაახლოებდა, შეაკავშირებდა, ურთიერთნდობას გაუჩენდა მათ...

ბატონი ნიაზის აზრით, აზროვნების ეკოლ-ოგია სწორედ იმას ესწრაფის, რაც გაათბობს, დააახლოებს ერთმანეთთან სხვადასხვა რელიგი-ის, სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანებს.

ზოგჯერ რელიგიათა ურთიერთდაახლოება ესმით, როგორც მათი შერწყმა-შეერთება, რაც მიუტევებელი შეცდომაა. როგორც ბატონი ნი-აზი ბრძანებს, სწორედ ამგვარი შეცდომის გა-მოხატულება იყო. ე.წ. ეკუმენისტური მოძრა-ობა, რომელიც ქრისტიანულ რელიგიათა ურთი-ერთდაახლოებით დაიწყო და შემდგომ სხვადას-ხვა რელიგიათა შერწყმის მიმართულებით უნდა განვითარებულიყო, რაც, რასაკვირველია, მი-უტევებელი შეცდომა და ცოდვა იქნებოდა.

რატომ არის მიუტევებელი შეცდომა ეკუმენ-იზმი? რატომ არის გამორიცხული რელიგიათა შერწყმა-შეერთება? ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ყოველი რელიგია ამა თუ იმ კულტურის შემადგენელი ნაწილია. თავის მხრივ კი, ყოვე-ლი კულტურა უნიკალურია, განუმეორებელია, თვითმყოფადია. ამიტომ ცალკეულ კულტურა-თა შერწყმა-შეერთებაზე/სინთეზზე/ ფიქრიც კი უკვე შეცდომაა. კაცობრიობა ამ გზით ვერა-ვითარ შემთხვევაში ვერ ივლის და ეს იმიტომ, რომ ეს გზა, პირველ რიგში, თვითონ კაცობრი-ობას გააღარიბებს და დაამცრობს, გამოუვალ ჩიხში შეიყვანს მას.

ჯერ კიდევ გენიალური შოთა რუსთაველი ბრძანებდა:

„რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა“...

ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ამ მოდელში /შესაქმეში/ ჩვენთვის უმთავრესი ფერთა სიუხვე და მრავალფეროვნებაა. ამ „უთვალავი ფერის“ ერთ ან თუნდაც რამდენიმე ფერზე დაყვანა იმ განუმეორებელ ეშხსა და სილამაზეს დაკარგვინებდა სამყაროს, რაც ახლა აქვს.

რაც ითქვა კულტურაზე, იგივე უნდა ითქვას რელიგიაზეც. ყოველი რელიგიის შიგნით გვაქვს არა მარტო სამყაროს განსხვავებული მსოფლმხედველობრივი ხედვა და ღირებულებითი ორიენტაცია, არამედ გვაქვს საუკუნოვანი ტრადიციები, ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, ეროვნული ხასიათი, ეროვნული მენტალიტეტი. რელიგიათა ურთიერთშერწყმა ყველა ამ ფენომენის ნგრევას გამოიწვევდა. ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: რელიგიათა შერწყმის ყოველგვარი მცდელობა, იმთავითვე უნდა გამოირიცხოს.

ასეთია ბატონი **ნიაზ ბოლქვაძის** პოზიცია და

არ შეიძლება ამ პოზიციას არ დაეთანხმო.

სხვათაშორის, კაცთა შორის საერთო მშვიდობაზე **ჰანს ჰაიზინგიც** საუბრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არასწორად ესმოდა მისი მიღწევის გზები. **კერძოდ, იგი სწორედ რელიგიათა ურთიერთშეწრყმის გზით მიდიოდა, რომლის უპერსპექტივობაზე ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.**

ბატონი ნიაზ ბოლქვაძე კიდევ ერთ უაღრესად საინტერესო აზრს გამოთქვამს: ეს არის აზრი მეცნიერებისა და რელიგიის, მეცნიერულ ცოდნისა და რელიგიური რწმენის ურთიერთობაზე. იგი, პირველ რიგში სვამს კითხვას: **როგორი უნდა იყოს განათლებული ადამიანის დამოკიდებულება რელიგიისადმი?**

ადამიანთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მეცნიერი არ უნდა იყოს მორწმუნე და რომ საერთოდაც მეცნიერული ცოდნა და რელიგიური რწმენა უპირისპირდებიან ერთმანეთს. ბატონი ნიაზი განსხვავებულ პოზიციაზე დგას. მას მიაჩნია, **რომ მეცნიერული ცოდნა და რელიგიური რწმენა არათუ არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს, საჭიროებენ ერთმანეთს. ამიტომ მეცნიერების დამოკიდებულება რელიგიისადმი აუცილებლად უნდა იყოს შემწყნარებლური, ტოლერანტული.**

ასე რომ არ იყოს, ყოველი მეცნიერი რომ

ურწმუნო და ათეისტი იყოს, მაშინ მსოფლიოში სახელგანთქმული უამრავი მეცნიერი /პავლოვი, კეპლერი, კოპერნიკი, პასტერი, ნიუტონი, აინშტაინი, პასკალი, პლანკი, ფარადეი, ვოლტა, ამპერი, თვით დარვინიც კი/ მორწმუნეები არ იქნებოდნენ და არც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მოხდებოდა ასეთი მასიური მიბრუნება რელიგიისკენ. ჯერ კიდევ **კლიმენტი ალექსანდრიელი** წერდა: **„არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რწმენასთან, ისევე როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იყოს ცოდნაზე“.**

მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ურთიერთშეთავსებადობაზე საუბრობდა დიდი **ილია ჭავჭავაძეც** (წმიდა ილია მართალი). გავიხსენოთ მისი სიტყვა, წარმოთქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვისას. აქ დიდი ილია გაბრიელ ქიქოძის უდიდეს დამსახურებად ქართველი ერის წინაშე იმას მიიჩნევდა, **რომ იგი „მეცნიერებას ასარწმუნოებდა“, ხოლო „სარწმუნ ოებას ამეცნიერებდა“, ანუ ერთი მეორეს საჭიროებდა და მეორე-პირველს.**

ეხება რა მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ურთიერთობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია მეორე** წერდა: **„მეცნიერება და სარწმუნოება კი არ ეწინააღ-**

მდეგება, არამედ ავსებენ ერთმანეთს“...

დავუბრუნდეთ სარეცენზიო სტატიას-„აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“. როგორც ვნახეთ, ამ მოცულობით პატარა ნაშრომში ავტორი პროფ. ნიაზ ბოლქვაძე სრულიად ორიგინალურად სვამს მთელ რიგ საკითხს და ცდილობს „აზროვნების ეკოლოგიის“ ახალი ცნების გამოყენებით იხსნას კაცობრიობა შავბნელი, ბოროტი აზრებისგან. ამ კეთილშობილურ მიზანს სათანადო დასაბუთებაც სჭირდება და სტატიის ავტორი ბევრი ცხოვრებისეული მაგალითის მოშველიებით დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ეს რეალურად სავსებით შესაძლებელია, მხოლოდ საამისოდ ის გონიერება, სიბრძნე და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაა საჭირო, რაც თუნდაც თავად ამ ნაშრომის ავტორს გააჩნია/ეს, ცხადია, ჩემი დასკვნაა და არა სტატიის ავტორისა.

გილოცავთ ამ უღრმესად საინტერესო ნაშრომს, ბატონო ნიაზ და შემდგომ დიდ წარმატებებს გისურვებთ!

რეზო ბალანჩივაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, დარგობრივი აკადემიების,
ფილოსოფიის, განათლების მეცნიერების,
პოლიტოლოგიის აკადემიკოსი.

* * *

ბატონი **ნიაზ ბოლქვაძე** მრავალმხრივი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწეა. იგი წლების მანძილზე წარმატებით იღწვის მეცნიერების რამდენიმე დარგში. მისი მთავარი სარბიელი ძირითადად ფილოსოფიაა-ზნეობრივი საკითხები, ეთიკისა და რელიგიის პრობლემები, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო საღად მოაზროვნე საზოგადოების დიდი საფიქრალი გამხდარა. ბატონმა ნიაზმა ამ მიმართულებით, თავისი მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიციით, საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც საიმედოდ წარმოაჩინა თავი...

ნაშრომი „აზროვნების ეკოლოგია-კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“, ძირითადად ემსახურება ზნეობრივად მაღალგანვითარებული ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებას, რაც ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა თანამედროვე ყოვლისმომვლელ გლობალიზაციის პირობებში.

ნაშრომი, სადაც მოკლედ და სიღრმისეულად წარმოდგენილია სხვადასხვა ერების წარმოშობასთან ერთად მათი ცალკეულ რელიგიებად დაყოფის პრინციპი, რაც დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა, აქედან გამომდინარე, ყველა ტრადიციული რელიგიის ერთი საერთო არსი და მიზანი, დიდ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

იგი თეორიულად დასასრულს უდებს რელიგიათა შორის დაპირისპირებას, რაც საუკუნების მანძილზე ყოველთვის იყო და კვლავ გადაუჭრელ საფრთხედ რჩება...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ თუ ნიაზ ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი „აზროვნების ეკოლოგია, კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“ ხელმისაწვდომი გახდება საერთაშორისო საზოგადოებისათვის, უთუოდ დიდ როლს შეასრულებს სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელ ადამიანებსა და ერებს შორის მშვიდობიანი, კეთილმეგობრული ურთიერთობების განვითარებაში, ეს იქნება ერთი წინგადადგმული მტკიცე ნაბიჯი ამ მიმართულებით, განსაკუთრებით დღეს, როდესაც კაცობრიობა რელიგიურ ნიადაგზე ტერორიზმისა და სხვა ათასგვარი საფრთხის წინაშე დგას...

ნუგზარ ჩხაიძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, სოციოლოგი

* * *

ფილოსოფოს **ნიაზ ბოლქვაძის** ორიგინალობით გამორჩეული ნაშრომი „აზროვნების ეკოლოგია-კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“ ჩემთვის, როგორც პოლიტოლოგისთვის, რომელიც სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტებს იკვლევს, პირველ ყოვლისა, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ რა როლი აკისრია რელიგიას სახელმწიფოს წარმატებულ ფუნქციონირებაში და რამდენად არის რელიგია ამ როლის შემსრულებელი მრავალკონფესიურ სახელმწიფოებში.

ისტორია და თანამედროვე პოლიტიკური პრაქტიკა ცხადყოფს, რომ რელიგიას აქვს როგორც სახელმწიფოს კონსოლიდაციის, ისე მისი დესტაბილიზაციის უდიდესი პოტენციალი. „რელიგია“ ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია მისი პირდაპირი მნიშვნელობით-ტრანსცენდენტური რწმენის მიმდევრობა, და არა პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც შეიძლება, არ იყოს მიღმურზე ორიენტირებული და იყოს სულაც ათეისტური!..

პროფესორი ნიაზ ბოლქვაძე შეეცადა, და ჩემი აზრით, წარმატებით, მოეხდინა რელიგიათა მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაარსებობის ფილოსოფიური საფუძვლის პოვნა, რომელიც პოლიტიკურადაც რელევანტურია. მეტსაც ვიტყვი: **შესაძლოა, ბატონი ნიაზის მიერ ნაშრომში გად-**

მოცემული მიგნება პოლიტიკურად კიდევ უფრო რელევანტური იყოს, ვიდრე ფილოსოფიურად ან თეოლოგიურად (თუმცა ამ მოსაზრებით არასგზით არ კნინდება ნაშრომის არსი). ამიტომ აუცილებელია, მას გაეცნონ პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პერსონები საქართველოში (პირველ რიგში) და მის ფარგლებს გარეთ. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, აზოვნების დაბინძურებამ და შებილწვამ კაცობრიობაში აქამდე არნახული მასშტაბები შეიძინა. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ყბადაღებული 21-ე საუკუნე, უზარმაზარი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, მორალური რეგრესის საუკუნეა. ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება ერთის მხრივ ამ რეგრესის მამოძრავებელი ძალაა და იგივე მისი მსხვერპლია, მაგრამ თან პროტესტსაც შობს. სწორედ ამ პროტესტის გამოხატულებაა რელიგიის ფაქტორის გაძლიერება პოლიტიკურ მოვლენებზე, გლობალური მასშტაბით...

ამიტომაც კიდევ უფრო აქტუალური ჩანს ბატონი ნიაზის ფუნდამენტური მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავად ღმერთმა დაუშვა (მონოთეისტური) რელიგიათა დაყოფა, რათა ერთმანეთის გამოცდილების გათვალისწინებით უფრო ეფექტური და წარმატებული იყოს ღვთისმოშიში ხალხების ბრძოლა წარმართობასთან, ზოგადად ცოდვასთან.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ცალკე აღებულ მონოთეისტურ რელიგიას-ქრისტიანობას, იუდაიზმს ან ისლამს ეკარგებათ თავისთავადი მნიშვნელობა. არა. მორწმუნე ვალდებულია, წმინდად დაიცვას თავისი რწმენა, ყოველგვარი აღრევების გარეშე... ამისდა შესაბამისად, განსაკუთრებულად აქტუალურია „აზროვნების ეკოლოგიაში“ მოხმობილი ეპიზოდები ავტორის ცხოვრებიდან, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა ადამიანებთან რელიგიურ თემებზე კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას – მთავარი ამ ეპიზოდებში არის მოწოდება განათლებისკენ, ცოდნისკენ...

მოდას აყოლილმა ფსევდო-რწმენამ გამოფიტა და დაასუსტა ჩვენი ქვეყანა ბოლო ათწლეულების მანძილზე. დიახ, მართლაც წარმოუდგენლად შეირყვნა და დაბინძურდა ჩვენი აზროვნება და ჩვენი ყოფა...

ბატონი **ნიაზ ბოლქვაძის** ნაშრომი დეტალურ ანალიზს და სამეცნიერო, მაგრამ ასევე პოლიტიკური წრეების მხრიდან განვრცობას საჭიროებს. მიმაჩნია, რომ „აზროვნების ეკოლოგიის“ სახით ფილოსოფიურმა და პოლიტოლოგიურმა მეცნიერებებმა დიდი შენაძენი მიიღეს.

გულგაათ რცხილაძე,
პოლიტოლოგიის დოქტორი

* * *

ფილოსოფოსი **ნიაზ ბოლქვაძე** შესაშური სითამამით გამოთქვამს თავის აზრებს... ვფიქრობ, მისი წარმატების საიდუმლო იმ სიბრძნის დროულად გამოყენებაშია, რომელიც აბობს: **სწორი აზრი უნდა ბატონობდეს ავტორიტეტზე და არა პირიქით.** სწორედ ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ბატონი ნიაზის მოსაზრება რელიგიებთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში იმდენად ლოგიკურია და საფუძვლიანი, ძნელია დარჩე გულგრილი და არ დაეთანხმო მას... დარწმუნებული ვარ, იგი მომავალში დიდ რეზონანს გამოიწვევს და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს. ეს პროცესი უკვე დაიწყო...

უზბეკ ახმედზიანოვი,
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, კულტუროლოგი

* * *

გულდასმით გავეცანი მწერლის, ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ **ნიაზ ბოლქვაძის** ნაშრომს „აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“, რის შემდეგაც თამამად შეიძლება ვთქვა: **ავტორმა, ღრმა ანალიზით, ლოგიკური მსჯელობებით წარმოადგინა სრულებით ახალი აზრი, ახალი აღმოჩენა, სამყაროში კაცობრიობის, სხვადასხვა რელიგიებად დაყოფის საიდუმლო და თეორიულად წერტილი დაუსვა ტრადიციულ რელიგიების მიერ ერთი მეორის არ აღაირებას, რაც საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებს შორის და სახელმწფიოებს შიგნით დაპირისპირებების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა და წარმოადგენს...**

ბატონი ნიაზის მთავარი აღმოჩენა, რომელიც გამყარებულია მეცნიერული და საღვთო წერილების ცოდნით, მათი ერთობლიობით, ნათლად გვიჩვენებს, რომ კაცობრიობა დედამიწაზე თვით უფლის ნებით ცალკეულ ერებად დაიყო როგორც ენის, ასევე ტრადიციული რელიგიების მიხედვით. ამიტომაა, რომ ყველა ტრადიციული რელიგია ემსახურება ჭეშმარიტებას, ერთი ღმერთის იდეას, ზნეობრივად მაღალგანვითარებული ადამიანის აღზრდას და ჩამოყალიბებას, მოუწოდებს სიკეთისკენ. ამით პასუხი

გაეცა იმ მთავარ კითხვას, რაც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა მოაზროვნე ადამიანებს...

ბატონი ნიაზის მიერ წარმოდგენილი ახალი აზრის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებით დარწმუნებული ვარ სამყარო განიწმინდება ყოველგვარი უზნეო და ბოროტი ქმედებებისგან... იგი ხელს შეუწყობს იმ სასწაულის აღსრულებას, რისთვისაც უფალმა ადამიანი შექმნა და ამ ქვეყანაზედ სამარადჟამოდ დაუდო საცხოვრებელი ბინა! როგორც თავად ავტორი აღნიშნავს: ეს არის განათლების გზა, რთულად მისაღწევი, მაგრამ აუცილებელი, ყველაზე საიმედო, სამარადჟამო...

აქედან გამომდინარე, მოგიწოდებთ, რომ ნარომში: „აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“ წარმოდგენილი აზრის პოპულარიზაციისთვის მომზადდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და მოხდეს წარდგინება საერთაშორისო კონკურსებზე, ითარგმნოს სხვადასხვა ენებზე, ისწავლებოდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

დუგლას ზამთარაძე
მხატვარი, საქართველოს
დამსახურებული არქიტექტორი,
საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი

* * *

არაერთი წიგნის ავტორის, მწერლისა და ფილოსოფოსის **ნიაზ ბოლქვაძის** მიერ, ნაშრომში დასმული და გადაწყვეტილი საკითხი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების მთვარი სატკივარია.

ნაშრომი – „აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“ ავტორის მრავალწლიანი კვლევა-ძიების შემდეგ, თავისი „გონების ლურჯ-ოქროსფრად განათებულ სამყაროს სხივებში გამობრწყინდა“ ფართო საზოგადოებისთვის, განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა. სიტყვათა თანაწყობა, „აზროვნების ეკოლოგია“ მეცნიერულადაც და ფილოსოფიურადაც ღრმა მნიშვნელობის შემცველი სინტაგმაა – მსოფლიო საზოგადოება ერთსულოვნად დაეთანხმება იმას, რომ კაცობრიობის გადარჩენა აზროვნების ეკლოგიაში უნდა დავინახოთ, მაგრამ ამჯერად ავტორი შორს მიდის ზოგადიდან კონკრეტულისკენ და ისევ ზოგადში მოემართება“ **იგი ეხება უსათუთეს თემას, რელიგიას და ურთულეს პრობლემას, – კონკრეტულად მიუთითებს, თითოეული აღმსარებლობის მიმდევართა მიერ მხოლოდ თავისი რელიგიის ჭეშმარიტების მტკიცებაზე და აღნიშნავს, რომ სწორედ ეს არის საფუძველი რელიგიათა დაპირისპირებისა, ერების დაპირისპირებისა,**

ხალხის უბედურებისა – სიძულვილისა, ტერაქ-ტებისა, ომისა. ეს საკითხი ახალი არ არის, ახალი არც იმის განმარტებაა, რომ ღმერთი ერთია და ყველა აღმსარებლობა, მუსლიმობა იქნება იგი, ქრისტიანობა, იუდაიზმი თუ ბუდიზმი ერთნაირ-ად ქადაგებს საყოველთაო ღირებულებებს, სი-კეთეს, სიყვარულს, მოწყალებას, ერთგულებას, ღვთისმოშიშობას და სხვა, **მაგრამ მან გამოთქვა ახალი აზრი და დაასაბუთა, რომ ყველა ტრადი-ციული რელიგია ღმერთის ნებითაა შექმილი, ღმერთმა ისევე ისურვა ხალხს ჰქონოდა სხვა-დასხვა რელიგია, როგორც ისურვა ჰქონოდათ მეტყველება სხვადასხვა ენაზე, დაასაბუთა, რომ ყველა ტრადიციული რელიგია ჭეშმარიტია.**

ავტორი ამბობს: **„რაც შეეხება რელიგიის თე-მას, როგორც საღვთო წერილების, ასევე მეცნი-ერული თვალსაზრისით, კაცობრიობა დედამიწა-ზე უფლის ნებით, ბუნების კანონზომიერებით, მათი მოწესრიგებულად მართვის პრინციპიდან გამომდინარე, დაყოფილია როგორც ენის, ასევე მსოფლიო ტრადიციული რელიგიების მიხედვით... ნაშრომში წარმოდგენილი სიმართლის, სხვადას-ხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთაგან სწო-რად აღქმა, ამ სიმართლის აღიარება საბოლოოდ წერტილს დაუსვამს რელიგიებს შორის ერთის მიერ მეორის არაღიარების პირნციპს, რომელიც დაპირისპირების მთავარ საბაბს წარმოადგენს,**

სწორედ ამ სიმართლის აღიარება იქნება ბუნებრივი ქველმოქმედება და გამაერთიანებელი ძალა დედამიწაზე მშვიდობიანი თანაარსებობისთვის“.

ავტორი მიმართავს სიბრძნეს და ამბობს **-„ვალის მოხდა ძნელია, მოუხდელობა უარესი“,** მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო მას: **თქვენ უმნიშვნელოვანეს საკითხზე უმნიშვნელოვანესი მოსაზრება გამოთქვით და არაერთი შესანიშნავი, საინტერესო მაგალითის ფონზე და ბრძენთა გამონათქვამების საფუძველზე დაადასტურეთ კიდეც.**

მე მიმაჩნია, რომ თქვენ ვალმოხდილი ხართ. ამ მოსაზრების დასაბუთებით ავტორმა უკან მოიტოვა ეკუმენისტური მოძრაობის“ იდეა, რომელსაც ავტორი უტოპიურს უწოდებს... მაგრამ ვერ დავეთანხმები ავტორს ბოლომდე, რომ დღეს კაცობრიობის აზროვნება დაბინძურებულია. ეს პრობლემა არსებობდა ყველა დროში სხვადასხვა ფორმით და საკმაოდ მაღალი დოზით.

ნაშრომი გლობალურ თემას ეძღვნება, საერთაშორისო მნიშვნელობისაა და დარწმუნებული ვარ, შესაბამისად ექნება საერთაშორისო რეზონანსი, რა თქმა უნდა, წიგნი უნდა გამოიცეს ინგლისურ, რუსულ, არაბულ და სხვა ენებზე.

ეთერ ბერიძე-მელიქიშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

* * *

„აზროვნების ეკოლოგიაში“ მთავარ პრინციპად სხვა ადამიანის მიმართ საკუთარი თავისადმი მიდგომის მსგავსი ქმედება მოიაზრება. სიტყვა „მსგავსი“ იმიტომ ვახსენე, რომ ადამიანი უფრო ეგოცენტრული არსებაა და მას არ ძალუძს სხვა ადამიანის საკუთარ თავთან სრული იდენტიფიცირება...

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ისმის კითხვა: **„რამდენად შეუძლია ადამიანს სხვა ადამიანის სატკივარის გათავისება?“** ავტორს ნიმუშად რამდენიმე შეგონება მოაქვს: **„რაც არ გინდა შენთვის, ნუ უსურვებ სხვას“.** და ა.შ. ამ გზით უნდა წავიდეს სწავლა-აღზრდის საქმე, როგორც დაწყებით, ასევე საშუალო და უმაღლეს დაწესებულებებში...

„აზროვნების ეკოლოგიის“ სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი იმპერიულ პრინციპს „დაყავი და იბატონე“ ბიბლიას უკავშირებს, მას ღვთიურ ცნებად მიიჩნევს და ამ გზით რომელიმე რელიგიის დომინანტობას უარყოფს; ანუ, ყველა ტრადიციულ რელიგიას თანასწორად თვლის, რითაც ტოლერანტობის საზღვრებს აფართოვებს და მინიმუმამდე დაჰყავს რელიგიური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.

მსოფლიო კონტექსტში ბათუმი მე-19 საუკუნის ბოლოს „ჩაეწერა“, როცა გაყვანილ იქნა

ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი. ახლა სამი საუკუნის მიჯნაზე, თუ კი მოხდება წიგნის „აზროვნების ეკოლოგია“ პრაქტიკული რეალიზაცია ჩვენი ქალაქი ზოგადსაკაცობრიო სახელს შეიძენს.

რობერტ ნადირაძე
მწერალი

* * *

რელიგიათა სიბრძნის მთავარი არსი, რომელიც ფილოსოფოს **ნიაზ ბოლქვაძის** მიერ ტრადიციული რელიგიების მნიშვნელობის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე იქნა წარმოდგენილი და მასთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები... დარწმუნებული ვართ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებსა და სხვადასხვა კონფესიებს შორის მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობების განვითარების საქმეში.

წიგნი „აზროვნების ეკოლოგია, კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა“ დიდად შეუწყობს ხელს ზნეობრივად მაღალგანვითარებული ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებას – იგი გახდება კეთილი თანამგზავრი და მეგობარი ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის...

სევერიან ცაგარეიშვილი
აკადემიკოსი,
რუსეთის ქართველთა სათვისტომოს
ვიცე-პრეზიდენტი

ალექსანდრე ეგანოიძე
მწერალი, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის
მთავარი რედაქტორი

ნიაზ ბოლქვაძე სტუმრად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან.
თბილისი, 2001 წლის მაისი.

სტუმრად ბაშკირეთის რუსული ეკლესიის ეპარქიის არქიეპისკოპოს ნიკონთან. 2003 წლის დეკემბერი.

სტუმრად ამიერკავკასიის ლათინურ კათოლიკეთა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსთან.
ბათუმი, 11.06.2016

სტუმრად ქ. თბილისის დიდი სინაგოგის რაბინ რახამინ მურდუხაშვილთან.
თბილისი, 22.06.2016

სტუმრად რუსეთის მუსლიმანთა საზოგადოების
უმაღლეს მუფთთან ტალგატ ტაჯუდინთან.
ქ. უფა, 2002 წლის დეკემბერი.

შეხვედრა მუსლიმან მრევლთან
ბათუმი, ჩაქვის მეჩეთი, 30.06.2016



ბუდიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი,
ბუდისტური ფილოსოფიის პროფესორი, ტიბეტელი
მონახი გეშე ლამა ჯამპა ტინლეი სტუმრად
ქალაქ უფაში.
2003 წლის ნოემბერი.



ფრანგი განმანათლებლის, ფილოსოფოს
ვოლტერის საფლავთან.
პარიზი, 2003 წლის ოქტომბერი.

რედაქტორი:
ნუგზარ ჩხაიძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოციოლოგი

ტექნიკური რედაქტორი:
გურანდა ბოლქვაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაია ნაკაიძე

ტირაჟი - 700 ცალი

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა:
გამომცემლობა „**ივერიონი**“

თბილისი, კოსტავას ქ. № 6.

E-mail: info@iverioni.com.ge

ნიაზ მემედის ძე ბოლქვაძე – მწერალი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე დაიბადა 1962 წლის 28 აპრილს, ქობულეთის რ-ნ სოფელ ჩაისუბანში.

დაამთავრა თბილისის პოლიტიკური აკადემიის ბათუმის ფილიალი პოლიტოლოგიის სპეციალობით და ბაშკირეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა სოციალური ფილოსოფიის განხრით.

1999-2005 წლებში იყო ბაშკირეთის რესპუბლიკის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი (ამჟამად საპატიო).

2005 წლიდან არის ფილოსოფოსთა საზოგადოების და საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი, 2006 წლიდან აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის დამფუძნებელი და თავმჯდომარეა. 2008 წელს დააფუძნა მამულიშვილთა კავშირთან არსებული საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისათვის“...

2008 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. 8 წიგნის ავტორია.

გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 500-ზე მეტი პუბლიცისტური სტატია ქართულ და უცხოურ გამოცემებში.

გამოსაცემად მზად აქვს კიდევ ოთხი წიგნი.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.